საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

თბილისი 2012

ქართული ენის მეხუთე დონის სახელმძღვანელო განკუთვნილია არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის. სახელმძღვანელოს თან ახლავს მოსწავლის რვეული, მასწავლებლის წიგნი და კომპაქტ დისკი.

სახელმძღვანელო შეიქმნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სახელმწიფო პროგრამის ,,ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის" ფარგლებში.

ავტორები: მაია მელიქიძე
ნინო გორდელაძე

რედაქტორები: ირმა ტაველიძე
თინათინ ცერაძე

მხატვრები: ულიანა გონობოლინა
ეკა სოლოღაშვილი

ფოტოგრაფი: გელა ზედიანაშვილი

დიზაინერ - დამკაბადონებლები: თამარ დევდარიანი
ნანა კალანდარიშვილი

დაიბეჭდა შპს „მვპ"- ში.

ISBN 978-9941-0-4337-6

© საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2012
© მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2012

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE | G-PRIED Georgia Primary Education Project საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი

ამ მასალის დაბეჭდვა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. მასალის შინაარსზე პასუხისმგებელია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი და იგი არ წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა ან აშშ მთავრობის აზრს.

სარჩევი

პირველი ნაბიჯები .....4-9გვ.

თემა 1

დრო და დღესასწაულები ..... 10-19გვ.

თემა 2

ჩემი საუკეთესო მეგობარი ..... 20-29გვ.

თემა 3

ეს ჩვენი სახლია! ..... 30-39გვ.

თემა 4

ლაბირინთში ..... 40-49გვ.

თემა 5

იყო და არა იყო რა... ..... 50-59გვ.

გრამატიკული გზამკვლევი ..... 60-72გვ.

დამატებითი საკითხავი ..... 73-84გვ.

პირველი ნაბიჯები

1. მოძებნე ფოტოზე ნიკა. გამოიყენე მისი პირადი მონაცემები და ისაუბრე მის შესახებ. აღწერე მისი გარეგნობა.

სახელი: ნიკა
გვარი: ბერიძე
ასაკი: 10 წლის

საცხოვრებელი ადგილი: თბილისი
მისამართი: ლაღიძის ქ. №3

საქმიანობა: მოსწავლე
გატაცება: სპორტი
ტელეფონი: 2 93 60 57



2. მოუსმინე ნიკას და მიუთითე ფოტოზე, რომელია: ბექა, ლუკა, მაკა და ნათია. დაასახელე შესაბამისი ციფრი. აღწერე მაკა და ნათია.

3. გაეცანი ნიკას ოჯახის წევრების მონაცემებს და ისაუბრე მათ შესახებ. აღწერე მათი გარეგნობა.



გრამატიკა

ვცხოვრობ:
1. თბილისში
2. ცხრასართულიან სახლში
3. მეოთხე სართულზე
4. ოთხოთახიან ბინაში
5. ჩემს მშობლებთან ერთად

ვარ:
1. თბილისელი
2. სპორტსმენი
3. 17 წლის
4. ყველაზე უფროსი
5. მაღალი და გამხდარი

4. გაეცანი ინფორმაციას ნიკას ნათესავების შესახებ და შეასრულე დავალებები რვეულში.

მე და ბექა ნიკას მამიდაშვილები ვართ. ჩვენ ვცხოვრობთ ქუთაისში.

ბექა ნიკაზე უფროსია. ისინი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს ხასიათით, გარეგნობით კი განსხვავდებიან. ზაფხულში ჩვენ ხშირად ერთად ვისვენებთ.

მე და ნიკა ბიძაშვილები ვართ. მამაჩემი და ნიკას მამა ძმები არიან. ხუთი წელია, რაც ჩვენ ინგლისში ვცხოვრობთ.

მე ძალიან მიყვარს ფეხბურთი. ჩემი საყვარელი გუნდია "მანჩესტერ იუნაიტედი".

მე ნიკას დეიდაშვილი ვარ. ნიკა ჩემზე სამი წლით უფროსია. მე და ნიკას და – ეკა ტოლები ვართ. ჩვენ გარეგნობითაც ძალიან ვგავართ ერთმანეთს. მე და ეკა ერთად დავდივართ მუსიკაზე. ეკა ფორტეპიანოზე უკრავს, მე – ვიოლინოზე.

5. წაიკითხე წერილი და უპასუხე შეკითხვებს.

გამარჯობა,

მე მქვია ელენე. ვცხოვრობ თელავში ჩემს მშობლებთან და ძმასთან ერთად. ჩვენ გვაქვს პატარა ორსართულიანი სახლი ქალაქის ცენტრში.

ჩემი ძმა ჩემზე ორი წლით პატარაა. მას სანდრო ჰქვია და მესამე კლასში სწავლობს. დედაჩემი დიასახლისია, მამაჩემი კი მხატვარია. ის თელავის თეატრში მუშაობს.

ხატვა მეც ძალიან მიყვარს. კიდევ კითხვა მიყვარს. ჩემი საყვარელი მწერალია რევაზ ინანიშვილი.

ველი პასუხს. მომწერე შენ შესახებ.

დროებით.

ელენე

1. ვინ არის წერილის ავტორი?
2. ვინ არის წერილის ადრესატი?
3. რომელია მისალმება?
4. რომელია დამშვიდობება?
5. რომელ კლასში სწავლობს ელენე?
6. რაზე საუბრობს ის პირველ, მეორე და მესამე აბზაცებში?

6. უპასუხე ელენეს. გააცანი მას შენი ოჯახი. ისაუბრე შენ შესახებ — რა გიყვარს, რა გაინტერესებს, რას საქმიანობ და ა.შ.

1. დააკვირდი ფოტოს და აღწერე: ვინ არიან, სად არიან და რას აკეთებენ? აღწერე მათი გარეგნობა. წაიკითხე რეპლიკები და დააკავშირე ისინი შესაბამის სიტუაციებთან.
☺ მოისმინე და შეამოწმე შენი პასუხები.

- შენი ბიძაშვილი გავიცანი.

- მე მინდა ხაჭაპური, შენ რას შეჭამ?

- მე უკვე აქ ვარ. შენ სად ხარ?



2. ნათია ოთხ ადამიანს ესაუბრება ტელეფონით. წაიკითხე მოცემული ინფორმაცია და გამოიცანი, ვის ესაუბრება ნათია. იმუშავე მეწყვილესთან ერთად. ჩაინიშნეთ თქვენი ვარიანტები ფურცელზე.
☺ მოისმინეთ და შეამოწმეთ. დაასახელე სატელეფონო ზარები თანამიმდევრულად.

ა. ულოცავს მას დაბადების დღეს.
ბ. უყვება მას სკოლის ამბავს.
გ. იგებს სკოლის გაკვეთილებს.
დ. ელაპარაკება თავისი კატის შესახებ.

3. წაიკითხე და დააკავშირე ფოტოებთან.

1.
- სად მიდიხარ?
- სახლში, შენ?
- მეც სახლში მივდივარ. სად ცხოვრობ?
- დოლიძის ქუჩაზე. შენ სად ცხოვრობ?
- მე აქვე ახლოს ვცხოვრობ, თეატრის გვერდით, გაჩერებასთან.
- ავტობუსს ელოდები?
- არა, ჩემს დას. შენ ავტობუსს ელოდები?
- კი, ავტობუსით მივდივარ.

2.
- ნახე, აქ რა სასაცილო ხარ!
- გიო, შენს სოფელში რომ ვიყავით, ის სურათებია?
- კი. აი, ჩემი ძმა. ეს კი დათოა, ბებიაჩემის მეზობელი, ხომ გახსოვს?
- როგორ არა, ნამდვილი ფეხბურთის ბურთი რომ ჰქონდა, ის არ არის?
- არა, ის ზურაა, გრძელცხვირა. დიდი ახალი ველოსიპედი რომ ჰქონდა, დათო ისაა.

4. წაიკითხეთ ზემოთ მოცემული დიალოგები ხმამაღლა სათანადო ინტონაციით.

გრამატიკა

მიდის

სად? — სახლში, გზაზე...

რით/რითი? — ფეხით, ცხენით...

ვისთან ერთად? — ძმასთან ერთად, კლასელთან ერთად...

ცხოვრობს

აქვე ახლოს → **სად** ← ...-ის ქუჩაზე

...-ის გვერდით

გაჩერებასთან

1. წაიკითხე და დაასახელე, ვინ სად დაისვენა? რომელი ბავშვის ჩანაწერში არ ჩანს ეს ინფორმაცია?

მე ზღვაზე დავისვენე ჩემს დეიდაშვილებთან ერთად. გემით ვისეირნე. გემზე პირველად ვიყავი. ძალიან მაგარი იყო!

სოსო

ერთხელ ტყეში წავედით და პატარა ბელები ვნახეთ. იმ ტყეში ციყვი და კურდღელიც ბევრია. ძალიან დიდი ტყეა.
ტყეში სოკოები დავკრიფეთ, კიდევ ტყის მარწყვიც შევაგროვეთ. ძალიან ტკბილი და გემრიელი იყო!

ეკა

ერთი ბიჭი გავიცანი, ზურა ჰქვია. ზურა ბიძაჩემის მეზობელია. ძალიან სასაცილო და მხიარული ბიჭია. ზურა ჩემზე ერთი წლით უფროსია. ის ჩემზე მაღალი და გამხდარია.

კახა

დილით ადრე გავიღვიძეთ და მდინარეზე წავედით. ჯერ ვითევზავეთ, მერე მდინარეში ვიბანავეთ.

ლაშა

ჯერ ყვავილები დავკრიფეთ მინდორში, შემდეგ მთაზე ავედით. იქ ისეთი ლამაზი იყო...

ნინო

მე ჩემს სოფელში ვიყავი და იქ გავირუჯე. ძალიან ლამაზია იქ. ჩემი სოფელი ტყის პირას არის. იქვე პატარა მდინარეა. გარშემო კი მაღალი მთებია.

მარინა

2. უპასუხე შეკითხვებს.

1. ვისთან ერთად დაისვენა სოსომ?
2. რა გააკეთა ლაშამ?
3. სად გაირუჯა მარინა?
4. ვინ გაიცნო კახამ?
5. რა გააკეთა ნინომ მთაზე ასვლის წინ?
6. რა მოეწონა ეკას ტყეში?

3. ისაუბრე შენ შესახებ: სად დაისვენე, ვისთან ერთად, რა გააკეთე იქ, ვინ გაიცანი და სხვა.

გრამატიკა

დრო

ახლანდელი (რას აკეთებს?)		წარსული (რა გააკეთა?)	
ის	ისვენებს	მან	დაისვენა
ის	თევზაობს	მან	ითევზავა
ის	თამაშობს	მან	ითამაშა
ის	კრეფს	მან	დაკრიფა
ის	ირუჯება	ის	გაირუჯა
ის	ერთობა	ის	გაერთო

4. გამოიყენე ქვემოთ მოცემული სიტუაციები და მეწყვილესთან ერთად გაითამაშე დიალოგები. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და უპასუხეთ.

გამოიყენე!

– სად იყავი (სად დაისვენე) არდადეგებზე (ზაფხულში)?
– ვისთან ერთად იყავი (დაისვენე)?
– როგორ გაატარე დრო (რა გააკეთე)?

ზღვაზე დეიდაშვილებთან ერთად:
გემით სეირნობა.
მზეზე გარუჯვა.
ზღვაში ბანაობა.

სოფელში ბიძაშვილებთან:
ფეხბურთის თამაში.
მინდორში სირბილი.
თევზაობა.

მთაში:
მთაზე ასვლა.
ცხენით სეირნობა.
ყვავილების კრეფა.
მდინარეში ბანაობა.

სოფელში მამიდასთან:
ტყეში წასვლა.
სოკოს კრეფა.
მდინარეში ბანაობა.
ფეხით სეირნობა.

5. მოძებნე ქვემოთ მოცემულ ტექსტში <u>შეცდომები</u> და დაასახელე. სწორად გადაწერე ტექსტი რვეულში და წაიკითხე.

მე და ჩემი ძმა სოფელში დავისვენეთ. ჩემს სოფელს მთაშია. იქ ძალიან დიდი და მაღალი მთებია. ჩემი სოფლის გვერდში არის ტყე. ტყეს პირას პატარა მდინარეა. სოფელში ვიყავი ჩემს ბიძაჩემთან. ის იქ იცხოვრა. მე მყავს ერთი ბიძაშვილი. ის ნანა ჰქვია. ნანას ჩემზე პატარაა. ის ისწავლა მეორე კლასში.

ბიძაჩემი ერთსართულიანი სახლი აქვს. ჩვენს სახლს სოფლის ცენტრში არის. სახლს წინ დიდი ეზოა, სახლს უკან კი – ბაღი.

მე და ჩემმა ბიძაშვილებმა ტყეში წავედით და იქ სოკოები ვკრეფთ. სტადიონზე ჩვენ ბურთით ითამაშეთ, მერე ირბინეთ და მდინარეზე იბანავეთ.

იქ ძალიან ლამაზი და კარგი იყო.

6. დაწერე რვეულში, სად და როგორ გაატარე არდადეგები.

ა) სად იყავი და ვისთან ერთად;
ბ) აღწერე ის ადგილი (სად რა არის, როგორია, რა არის იქ...);
გ) იქ ვინ ცხოვრობს (დაახასიათე და აღწერე ისინი – რა ჰქვიათ, რამდენი წლისანი არიან, ვინ არიან და სად მუშაობენ, როგორები არიან...);
დ) როგორ გაატარე დრო და რა გააკეთე.

თემა 1

დრო და დღესასწაულები

1. დააკვირდი და დაასახელე, სად რა დროა.



2. წაიკითხე ქვემოთ მოცემული თარიღები. შენი აზრით, რაზე მიუთითებენ ისინი?
მოისმინე და შეამოწმე შენი ვარაუდი.

21 მარტი
22 ივნისი
23 სექტემბერი
22 დეკემბერი

გრამატიკა

როდის?	როდიდან? (რომელი თვიდან/დღიდან/საათიდან...)
21 მარტ**ს**	21 მარტ**იდან**
გაზაფხულ**ზე**	გაზაფხულ**იდან**
დილ**ით**	დილ**იდან**
სექტემბერ**ში**	სექტემბრ**იდან**
სამ საათ**ზე**	სამი საათ**იდან**...

3. რა იცი საათების შესახებ? წაიკითხე და დააკავშირე სურათებთან. შენი აზრით, რომელი გამოიგონეს პირველად?
მოისმინე და შეამოწმე შენი ვარაუდი.

1 2 3

წყლის საათი
მზის საათი
ქვიშის საათი



4. ჩამოთვალე დღესასწაულები. შენ რომელს ზეიმობ? შენი აზრით, რომელია ყველაზე დიდი, ლამაზი დღესასწაული? რომელი გიყვარს განსაკუთრებით და რატომ?

5. დააკვირდი ფოტოებს. დაასახელე, რომელი დღესასწაულები იცანი? წაიკითხე და დააკავშირე სურათებთან.

1

2

3

4

ხატია ფსუტურის ფოტო

ა. მზის ფესტივალი
ბ. ნიღბების კარნავალი
გ. ფერების ფესტივალი
დ. თბილისობის დღესასწაული

6. მოისმინე და მიუთითე შესაბამისი სურათის ნომერი.

გრამატიკა

წაიკითხე და დააკავშირე!

ნათესაობითი ბრუნვა - ის(-ს)

<u>რომელი გამოხატავს:</u>

1. კუთვნილებას — ვისია ან რისია?
2. მასალას — რისგან არის გაკეთებული / დამზადებული?
3. დანიშნულებას — რა დანიშნულება აქვს / რისთვისაა?

ა. სკოლის ჩანთა ბ. დათოს ჩანთა
გ. თოჯინის ჩანთა დ. ნაჭრის ჩანთა

ახალ წელს გილოცავთ!

1. წაიკითხე და დაასახელე, რომელი ქვეყანა როდის ზეიმობს ახალ წელს. შენ როდის ზეიმობ მას?

ახალი წელი პირველად ახალ ზელანდიაში დგება. როცა იქ საათი 12–ს ჩამოჰკრავს, ჩვენთან ჯერ შუადღის 12 საათია. ახალი ზელანდიის შემდეგ ახალი წელი ავსტრალიაში მოდის. ყველაზე ბოლოს კი ის ჩრდილოეთ ამერიკის კუნძულებზე დგება.

ზოგი ახალ წელს გაზაფხულზე ზეიმობს, ზოგი – შემოდგომაზე. მაგალითად, ინდოეთის ერთ ნაწილში ახალ წელს მარტში აღნიშნავენ, მეორეში კი – ოქტომბერში. ჩინელები ახალ წელს იანვრის ბოლოსა და თებერვლის დასაწყისში ზეიმობენ. ტაილანდში კი ახალი წელი აპრილში დგება.

2. მოძებნე ქვემოთ მოცემული ტექსტების დასასრული და წაიკითხე, როგორ ხვდებიან ახალ წელს სხვადასხვა ქვეყანაში.

ა. იქ ვერავის ნახავთ მშრალს.
ბ. გადის ძველი და შემოდის ახალი წელი.
გ. ოკეანეში ყვავილის ფურცლებს ყრიან.
დ. მრავალი სიურპრიზია დამალული.
ე. შემდეგ ახალს ყიდულობენ.
ვ. უყვართ ლომის ნიღაბი.

1
ბრაზილიაში ქვიშიან პლაჟზე უამრავ სანთელს ანთებენ. თეთრ კაბებში გამოწყობილი ქალები წყალში შედიან და ----------

2
ბულგარეთში ახალი წლის ღამეს ოჯახის დიასახლისი საახალწლო ნამცხვარს ჭრის, რომელშიც ----------

3
ტაილანდში აპრილში ძალიან ცხელა, ამიტომ იქ ახალ წელს ყველა წყალს ასხამს ერთმანეთს. ამ დროს ---------

4
შოტლანდიაში ანთებენ ბუხარს, სხდებიან მის წინ და ელოდებიან ახალი წლის მოსვლას. როცა საათის ისრები 12–ს მიუახლოვდება, ოჯახის უფროსი ჩუმად დგება და კარს აღებს. სახლიდან ----------

5
იაპონიაში ახალ წელს სიცილით ხვდებიან. შემდეგ ქუჩაში გადიან და მხიარულობენ. მათთან ძალიან პოპულარულია ნიღბები. განსაკუთრებით ----------

6
იტალიაში ახალი წლის ღამეს ძველ ნივთებს ფანჯრებიდან ყრიან და ---------

3. როგორ ხვდებიან ახალ წელს საქართველოში?

4. წაიკითხე და დაასახელე: 1. როგორ იქცევიან თოვლის პაპები სხვადასხვა ქვეყანაში? 2. რომელ ქვეყანაში არ ჰყავთ თოვლის პაპა? 3. რას აკეთებს ის საქართველოში?

ახალ წელს რთავენ ნაძვის ხეს. მოდის მხიარული და კეთილი თოვლის პაპა და მოაქვს საჩუქრები. ზოგ ქვეყანაში ის საჩუქრებს ბავშვების ფეხსაცმელებში ან წინდებში აწყობს, ზოგან კი - ფანჯრის რაფაზე. საფრანგეთში ორი თოვლის პაპა მოდის. ერთი კეთილია და საჩუქრებით სავსე კალათები მოაქვს, მეორის კალათაში კი ზარმაცი და ჯიუტი ბავშვებისათვის წვრილი ჯოხები აწყვია. იტალიაში თოვლის პაპის ნაცვლად თოვლის ბებია მოდის. მას ბეფანა ჰქვია. ის 5 იანვრის ღამეს ბუხრის მილიდან ჩადის სახლებში და ბავშვებისათვის საჩუქრები მიაქვს.

5. გაეცანი საახალწლო სუფრის ტრადიციას და დაასახელე, რომელ კერძს ამზადებენ შენს ოჯახში განსაკუთრებულად?

სხვადასხვა ქვეყანაში საახალწლო სუფრას სხვადასხვა ტრადიციული კერძი ამშვენებს: შემწვარი ბატი ან ინდაური, პატარა ნამცხვრები, რომლებსაც ნაძვის ხის, ვარსკვლავისა და თოვლის პაპის ფორმა აქვს, შოკოლადში ამოვლებული თხილი და ნიგოზი, ბრინჯისგან მომზადებული ტკბილეული.

საქართველოში საახალწლო სუფრაზე აუცილებელია გოზინაყი, ჩურჩხელა და საცივი.

გრამატიკა

დააკვირდი!

ის		ისინი
თეფშ**ი** დევს	→	თეფშ**ები** აწყვია
ქუდ**ი** გდია	→	ქუდ**ები** ყრია

წაიკითხე და დააკავშირე!

<u>სად:</u>

1. არ ჩანს, ვინ მოქმედებს.
2. ჩანს, ვინ მოქმედებს.

ა. ბიჭი ნაძვის ხის ქვეშ საჩუქარს **დებს.**
ბ. ნაძვის ხის ქვეშ საჩუქარი **დევს.**

1. დააკვირდი სურათებს და დაასახელე, ვინ არიან საახალწლო ზღაპრის გმირები? რა იცი მათ შესახებ?

2. წაიკითხე ზღაპრის პირველი ეპიზოდი და თქვი, რა მოხდა, შენი აზრით, ახალი წლის ღამეს გოგონასთან?
მოისმინე და შეამოწმე შენი ვარიანტი.

3. წაიკითხე ზღაპარი და უპასუხე შეკითხვებს.

საახალწლო ზღაპარი

(ირმა მალაციძის პიესის მიხედვით)

I. იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა გოგონა. ამ გოგონას ძალიან უყვარდა კითხვა და სახლში უამრავი ლამაზი ნახატებიანი წიგნი ჰქონდა. მას კიდევ ახალი წელი უყვარდა იმიტომ, რომ ახალი წლის ღამეს ძალიან უცნაური ამბები ხდებოდა.

II. აი, რა მოხდა ერთხელ:

ერთ ახალი წლის ღამეს გოგონას სახლში მისი საყვარელი წიგნების გმირები გაცოცხლდნენ.

- როგორ მიყვარს ახალი წელი! – მოისმა გოგონას ტანსაცმლის კარადიდან, – საახალწლო ღვეზელი, ბევრი ტკბილეული და ჩემი საყვარელი კაკლის მურაბა, იფ, იფ, იფ!

უცებ ფანჯარა გაიღო, ოთახში თეთრ გრძელ კაბაში ჩაცმული დედოფალი შემოფარფატდა და თან საშინელი ყინვა შემოიტანა.

- რა საშინელებაა, როგორ თბილა აქ! ცოტაც და, ალბათ, დავდნები. რა კარგია ჩემს ყინულის სასახლეში, იქ ხომ ყველაფერი ყინულისაა, ნაძვის ხე და სათამაშოებიც კი! – თქვა უკმაყოფილო დედოფალმა. ამ დროს გოგონას ფეხის ხმა მოისმა და დედოფალი სასწრაფოდ კარადაში დაიმალა.

გოგონამ ფიფქიას კაბა ჩაიცვა, საათს შეხედა და თვალები გაუბრწყინდა:

- რა კარგია, მალე ახალი წელი მოვა!

უცებ კარადიდან უცნაური ხმები გაისმა. კარი გაიღო და კარადიდან პატარა მსუქანი კაცუნა გამოხტა. კაცს დედოფალი მოჰყვა.

- თქვენ ვინ ხართ? –ჰკითხა გოგონამ და გაოცებული თვალებით შეხედა ორივეს.

- მე კარლსონი ვარ, მსოფლიოში საუკეთესო... კულინარი! ეს კი... არ ვიცი, ვინაა, - თქვა კარლსონმა.

- არ იცი, მე ვინ ვარ?! რა საშინელებაა! ნუთუ არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებმაც არ იციან, ვინ არის თოვლის დედოფალი? შენ ვინ ხარ, გოგონა? – ახლა გოგონას ჰკითხა თოვლის დედოფალმა.

- მე, მე...ფიფქია ვარ, – დაიბნა გოგონა, – თქვენ კარნავალზე მოხვედით, არა? რა ლამაზი კოსტიუმები გაცვიათ!

- კარნავალზე? კოსტიუმები? რას ამბობ, ეს ხომ ჩემი ნამდვილი სამოსია! მე სულ ასე დავდივარ იმიტომ, რომ მე ნამდვილი დედოფალი ვარ.
- მეც ნამდვილი კარლსონი ვარ და სულ ასე მაცვია. ეს პროპელერიც ნამდვილია, თუ გინდა, გავფრინდები.
- გაფრინდები? არა, არა, რას ამბობ?! ესე იგი, ნამდვილი კარლსონი და ნამდვილი თოვლის დედოფალი ხართ? – ტაში შემოჰკრა გახარებულმა გოგონამ.

III. ამ დროს კარი გაიღო და ოთახში ჩიპოლინო შემოვიდა.
- ეს ვინღაა? ვაი, მიშველეთ, თვალები ამეწვა! – აყვირდა კარლსონი.
- ფუ, რა ხახვის სუნი დადგა! – ცხვირი ასწია თოვლის დედოფალმა.
- რატომ გაგიკვირდათ? ნუთუ ვერ მიცანით? მე ხომ ხახვის ბიჭუნა ვარ! – გაიცინა ჩიპოლინომ.
- უუფ, დიდი ვინმეც შენ ხარ! – თქვა კარლსონმა.
- მართლა ვერ მიცანით? ეს იმიტომ, რომ წიგნებს არ კითხულობთ, – ეწყინა ჩიპოლინოს.
- როგორ თუ არ ვკითხულობთ? მე ხომ მსოფლიოში ყველაზე ცნობილი მკითხველი ვარ! – თქვა კარლსონმა და ოთახში ამაყად გაიარ-გამოიარა.

უცებ კარი გაიღო და ოთახში სასაცილო გრძელცხვირა ხის ბიჭუნა შემოვარდა.
- ბურატინო! – ტაში შემოჰკრა გოგონამ, - გაიცანით, ეს ბურატინოა. რა კარგია, მალე ახალი წელი მოვა და ყველა ერთად შევხვდებით.
- რა არის ახალი წელი? მართლა მოვა? როდის მოვა? – დააყარა კითხვები ბურატინომ.
ყველამ საათს შეხედა, საათის ისრები გაჩერებული იყო.
- რა გვეშველება? გამოდის, რომ ჩვენ ახალ წელს ვეღარ შევხვდებით! – თვალები ცრემლით აევსო გოგონას.
- ეჰ, ჩვენ გარდა ყველა მიირთმევს საახალწლო ღვეზელს, - გაიბუტა კარლსონი.
- მე მოვიყვან ახალ წელს! – წამოიძახა ბურატინომ.
- შენ? როგორ? – გაუკვირდა ყველას.
- როგორ და, აი, ნახეთ! – თქვა ბურატინომ და ჯიბიდან ოქროს გასაღები ამოიღო. მერე სკამზე აძვრა და საათი დაქოქა. საათმა თორმეტჯერ ჩამოჰკრა, კარი გაიღო და ოთახში ხურჯინიანი თოვლის პაპა შემოვიდა.

1. რა მოხდა გოგონას სახლში ახალი წლის ღამეს?
2. რატომ უყვარდა გოგონას ახალი წელი?
3. რატომ უყვარს ახალი წელი კარლსონს?
4. რატომ არ მოეწონა გოგონას სახლი თოვლის დედოფალს?
5. რა იფიქრა გოგონამ, როცა კარლსონი და თოვლის დედოფალი დაინახა?
6. როგორ მოიყვანა ახალი წელი ბურატინომ?

1. წაიკითხე თოვლის პაპის მისალოცი ბარათი. აირჩიე ქვემოთ მოცემული საახალწლო სურვილები და ახალი წელი მიულოცე მეგობარს.

ბედნიერება და სიხარული

ხვავი და ბარაქა

ბევრი საჩუქარი

სურვილების ასრულება

ჩირი, ვაშლი, ჩურჩხელა,
შოკოლადის ფილა,
მოგილოცავთ სუყველას
ახალი წლის დილას!
ოქრო გოგო-ბიჭებო,
დამიბერდით ტკბილად!

გივი ჭიჭინაძე

2. როგორ გავაკეთოთ საახალწლო გოზინაყი? წაიკითხე რეცეპტი და მოამზადე უფროსებთან ერთად.

მომზადების წესი:

თავიდან ვადუღებთ თაფლს 5-8 წუთის განმავლობაში. შემდეგ თაფლში ვყრით წვრილად დაჭრილ ნიგოზს და ხის კოვზით ვურევთ. თანდათან ვამატებთ შაქარს. ამის შემდეგ გადმოვიღებთ ხის სველ დაფაზე და ვასწორებთ. ბოლოს ვჭრით ლამაზ ნაჭრებად თბილი დანით.

მასალა: 500 გრამი თაფლი
100 გრამი შაქარი
1 კილოგრამი ნიგოზი

კურდღელი ჭრის ნიგოზს, ხოლო
თაფლს ადუღებს მელია,
გააკეთეს გოზინაყი –
უჰ! რა გემრიელია!

ვასილ გულეური

3. დააკვირდი სურათებს და ისაუბრე მათ შესახებ.

1. რა დღესასწაულია?
2. სად და როდის იმართება?
3. რა აცვიათ და როგორ ზეიმობენ?
4. კიდევ რა იცი მის შესახებ?

4. მოისმინე დიალოგი და წაიკითხე მეწყვილესთან ერთად.

- რატომ გიყვარს ახალი წელი?
- იმიტომ, რომ თოვლის პაპა მოდის და საჩუქრები მოაქვს.
- როგორ ემზადებით ახალი წლისთვის?
- ვდგამთ ნაძვის ხეს. დედა საახალწლო კერძებს ამზადებს.
- როგორ ხვდებით ახალ წელს?
- მაშხალებს ვანთებთ და ვმხიარულობთ. მერე სუფრასთან ვსხდებით, საახალწლო გადაცემებს ვუყურებთ და თოვლის პაპას ველოდებით.

5. გაითამაშე მსგავსი დიალოგი მეწყვილესთან ერთად: როდის და როგორ ხვდებით ახალ წელს? ვინ რთავს ნაძვის ხეს? რას აკეთებენ ოჯახის წევრები? როდის მოდის თოვლის პაპა? როგორ ერთობით ახალი წლის ღამეს?

1. წაიკითხე და მონიშნე ფურცელზე სწორი ვარიანტი. მოისმინე ტექსტი და შეამოწმე შენი პასუხი.

I. <u>ნაძვის ხის მორთვის ტრადიცია მოდის:</u>
ა. საქართველოდან ბ. გერმანიიდან გ. ინგლისიდან

II. <u>ნაძვის ხემდე სახლს რთავდნენ:</u>
ა. მწვანე ტოტებით ბ. ყვავილებით გ. ფერადი ქაღალდებით

III. <u>ნაძვის ხის პირველი სათამაშო იყო:</u>
ა. ნაჭრის ბ. ტყავის ბ. ქაღალდის

IV. <u>საქართველოში ახალი წლის ატრიბუტია ჩიჩილაკიც. ის არის:</u>
ა. ქართული „ნაძვის ხე" ბ. ნაძვის ხის სათამაშო გ. ტკბილეული

2. წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

პირველად ნაძვის ხე გერმანიაში მორთეს. ნაძვის ხის პირველი სათამაშოები იყო ფერადი ქაღალდებისგან გამოჭრილი ვარდები, ვაშლები, ნამცხვრები და კანფეტები.

საქართველოში საახალწლოდ ნაძვის ხესთან ერთად ჩიჩილაკსაც დგამენ.

ჩიჩილაკს თხილის ხისგან ამზადებენ და ხილითა და კანფეტებით რთავენ.

<u>*რაზეა საუბარი პირველ აბზაცში?*</u>

ა. ნაძვის ხის დანიშნულებაზე;
ბ. ნაძვის ხის დამზადების წესზე;
გ. ნაძვის ხის მორთვის ტრადიციაზე.

<u>*რომელ აბზაცშია საუბარი:*</u>

ა. ჩიჩილაკის დანიშნულებაზე?
ბ. ჩიჩილაკის დამზადების შესახებ?
გ. ჩიჩილაკის მორთვის წესზე?

3. მოძებნე ტექსტში <u>შეცდომები</u> და დაასახელე. სწორად გადაწერე ტექსტი რვეულში და წაიკითხე.

მსოფლიოში ახალი წელი ყველა განსხვავებულად აღნიშნავს. ზოგი ძველ ნივთებს აგდებს ფანჯრიდან, ზოგი კი წყალი ასხამს. შოტლანდიელები ბუხარში ცეცხლი ანთებენ და მის წინ ჯდებიან. თოვლის პაპა მოდის და საჩუქრებს სხვადასხვა ადგილას დებს.

4. დაიყავით ჯგუფებად და მოამზადეთ კედლის გაზეთის საახალწლო ნომერი. მოიძიეთ ინფორმაცია წერილებისათვის:

როდის ხვდებიან და როგორ აღნიშნავენ ახალ წელს სხვა ქვეყანაში? (აირჩიეთ თქვენთვის სასურველი ქვეყანა და დაწერეთ მის შესახებ).

საახალწლო სუფრა.

თქვენი ოჯახის საახალწლო ტრადიცია.

როგორ ხვდებიან ახალ წელს საქართველოში?

- გააფორმეთ გაზეთი საახალწლო ლექსებითა და ნახატებით და წარადგინეთ კლასში.

5. დაწერე და გააცანი კლასს შენს ოჯახში პოპულარული საახალწლო კერძის რეცეპტი.

6. მოემზადეთ საახალწლო ზეიმისათვის.

დადგით ერთმოქმედებიანი სპექტაკლი ირმა მალაციძის "საახალწლო ზღაპრის" მიხედვით.

ა) დაამუშავეთ ზღაპრის სცენარი მასწავლებელთან ერთად;
ბ) გაინაწილეთ როლები;
გ) მოამზადეთ მარტივი დეკორაცია;
დ) ისწავლეთ რეპლიკები და გაითამაშეთ კლასში.

გაიხსენეთ და ისწავლეთ ახალი საახალწლო ლექსები და სიმღერები.

7. შეადგინე ლექსიკონი. დაალაგე მასალა შენი სურვილისამებრ:

ა) ანბანის რიგის მიხედვით;
ბ) თემატურად (დღესასწაულები, არდადეგები, ნათესავები...);
გ) გრამატიკული კატეგორიების მიხედვით (არსებითი სახელები – ვინ/რა? ზედსართავი სახელები – როგორი? ზმნები...);
დ) მსგავსი (სინონიმები) და საპირისპირო (ანტონიმები) მნიშვნელობის სიტყვები...

თემა 2

ჩემი საუკეთესო მეგობარი

1. დააკვირდი სურათს, წაიკითხე და გაიმეორე.



ხუჭუჭი თმა



სწორი თმა



ტალღოვანი თმა

მელოტი

წითური თმა



ქერა თმა



ჭაღარა თმა

წაბლისფერი თმა

2. მოისმინე და დაასახელე, რა ჰქვია.

3. გამოიყენე მოცემული სიტყვები და აღწერე.

სქელი / თხელი
გრძელი / მოკლე
ღია / მუქი
მაღალი / დაბალი
დიდი / პატარა



4. დააკვირდი პირველი დავალების სურათებს და აღწერე ისინი.

5. ჩაიფიქრე შენი ერთ-ერთი კლასელი და აღწერე მისი გარეგნობა.

გრამატიკა

ვინ?
დიდი ბიჭი
პატარა გოგო

ვის?
დიდ ბიჭს
პატარა გოგოს

როგორი?

1. ხუჭუჭი თმა → ხუჭუჭთმიანი
   ქერა თმა → ქერათმიანი

2. მოწითალო – წითელი – უწითლესი

6. მოისმინე და მოძებნე სურათზე. თქვი, რა ჰქვია და წაიკითხე, როგორია.

7. მოისმინე დიალოგი. დააკვირდი ფოტოსურათს და მიუთითე შესაბამისი ციფრი. რომელია ლია, ლელა, ნინო და ნანა?



8. აღწერე და დაახასიათე ფოტოზე გამოსახული ადამიანები.

გრამატიკა

შედარება

ჩემზე/მასზე დაბალი, მსუქანი ...
მხიარული, ცნობისმოყვარე ...

ჩემთან/მასთან შედარებით
უფრო მაღალი ...
მშვიდი, ყურადღებიანი ...

ჩემსავით/მასსავით მაღალი, გამხდარი ...
მოლაპარაკე, ხმაურიანი ...

გამოიყენე!

ცნობისმოყვარე, მხიარული, ხმაურიანი, მშვიდი, ჭკვიანი, კეთილი, მსუნაგი, ბრაზიანი, ზარმაცი, ძილისგუდა ...

1. წაიკითხე, რას წერენ ბავშვები მეგობრების შესახებ.



ნიკა

გამარჯობა. მე ნიკა ვარ. ვცხოვრობ თბილისში. მე ორი საუკეთესო მეგობარი მყავს. ერთი ჩემს კლასში სწავლობს. მეორე ჩემზე ორი წლით უფროსია. ჩემს თანაკლასელ მეგობარს მომწვანო ფერის თვალები აქვს, მეორე მეგობარს კი – შავი.

ანა

მე ვარ ლაგოდეხიდან. მქვია ანა. ჩემს საუკეთესო მეგობარს თამთა ჰქვია. ის გავიცანი, როცა ექვსი წლის ვიყავი. თამთა ძალიან კეთილი და მხიარულია.

ბექა

მე ბევრი მეგობარი მყავს. ჩემი საუკეთესო მეგობარი კი არის გიორგი. ის ჩემი მეზობელია. ჩვენ ძალიან ვგავართ ერთმანეთს ხასიათით. გიორგი ჩემსავით ცნობისმოყვარეა.

ნუცა

ჩემს საუკეთესო მეგობარს შევხვდი ჩემი კლასელის დაბადების დღეზე. მას სოფო ჰქვია. სოფო ძალიან ლამაზია. აქვს გრძელი სწორი თმა და ძალიან დიდი ცისფერი თვალები. ჩვენ საუკეთესო მეგობრები ვართ იმიტომ, რომ ერთმანეთს ყველაფერში ვეხმარებით.

თორნიკე

გამარჯობა. მე მქვია თორნიკე. ვარ ახალციხიდან. ჩემი საუკეთესო მეგობარი ჩემი ბიძაშვილია – გაგა. ის ძალიან ჭკვიანი და მხიარულია. მე და გაგა ძალიან ვგავართ გარეგნობით ერთმანეთს. ჩვენ ყოველთვის ერთად ვართ და ყველაფერს ერთად ვაკეთებთ.

2. მოძებნე და დაასახელე:

ა. ვინ აღწერს მეგობრის გარეგნობას?
ბ. ვინ საუბრობს მეგობრის ხასიათსა და თვისებებზე?
გ. ვინ ასახელებს მეგობრობის მიზეზს?
დ. ვინ იძლევა დამატებით ინფორმაციას მეგობრის შესახებ? წაიკითხე ეს ინფორმაცია და თქვი, რის შესახებ არის ის.

გრამატიკა

წაიკითხე და დააკავშირე!

<u>რომელი:</u>
ა. გამოხატავს კუთვნილებას (ვისი მეგობარი?)
ბ. მიუთითებს წარმომავლობას (საიდან არის?)

<u>ჩემი</u> (1) მეგობარი არის <u>**თბილისიდან**</u> (2).

3. წაიკითხე წერილი და თითოეული სურათი დააკავშირე შესაბამის აბზაცთან.

1.

2.

3.

გამარჯობა, ზაზა!

I. როგორ ხარ? მე კარგად ვარ. ახლა სოფელში ვარ, ჩემს ბებიასთან. მე და ჩემი ბიძაშვილები კარგად ვერთობით – ყოველდღე ტყეში დავდივართ, მდინარეში ვბანაობთ და ვთევზაობთ.

II. აქ ერთი ბიჭი გავიცანი, ზურა ჰქვია. ზურა ბებიაჩემის მეზობელია. ის ჩემზე ერთი წლით უფროსია. ფეხბურთზე დადის. იცი, რა მაგრად თამაშობს ფეხბურთს?

III. ზურა ძალიან კარგი ბიჭია, თან ძალიან მხიარული და ცნობისმოყვარეა. მე და ზურას ერთნაირი ხასიათი გვაქვს, გარეგნულად კი ძალიან განვსხვავდებით ერთმანეთისაგან. ის ჩემზე მაღალი და გამხდარია. აქვს მოყავისფრო ხუჭუჭი თმა, მაღალი შუბლი და დიდი თაფლისფერი თვალები.

IV. მომიკითხე შენი ძმა. ორივე ძალიან მენატრებით.

დათო

4. წაიკითხე და დაასახელე, რომელ აბზაცშია მოცემული:

ა. ინფორმაცია წერილის ავტორის შესახებ
(სად არის, ვისთან არის და რას აკეთებს?);
ბ. ინფორმაცია ზურას შესახებ
(ვინ არის, სად ცხოვრობს და რას აკეთებს?);
გ. ზურას დახასიათება.

5. მოძებნე და წაიკითხე, რომელია:

ა. მისალმება
ბ. მოკითხვა
გ. დასასრული

გრამატიკა

წაიკითხე და დააკავშირე!

<u>რომელ წინადადებაში:</u>
1. მოქმედება ხდება ერთხელ.
2. მოქმედება ხდება მრავალჯერ.

ა. მე ხატვის გაკვეთილზე მივდივარ.
(სად?)
ბ. მე ხატვის გაკვეთილებზე დავდივარ.
(რაზე?)

<u>დავდივარ</u> ცეკვაზე, სიმღერაზე, სპორტზე, ხატვაზე და ა.შ.

1. აღწერე სურათები. მიუთითე, ვინ არის მოწყენილი, გაოცებული, მხიარული?

1

2

3



4



5

6

2. შეადარე მეორე, მესამე და მეხუთე სურათები ერთმანეთს. შენი აზრით, რატომ არის თოვლის გუნდა ამა თუ იმ სურათზე მოწყენილი? წაიკითხე და დააკავშირე სურათებთან.

ა. – ეჰ, რა ცუდია, რომ მარტო ვარ!

ბ. – ეჰ, არც ამას უნდა ჩემთან თამაში!

გ. – რა კარგი იყო! ახლა რა მეშველება?!

3. დაალაგე სურათები ისე, რომ ამბავი გამოვიდეს. იმუშავე მეწყვილესთან ერთად. ჩაინიშნეთ თქვენი ვერსია ფურცელზე.

4. წაიკითხე ზღაპარი და შეადარე თქვენს ვერსიას. დააკავშირე ეპიზოდები შესაბამის სურათებთან.

თოვლის გუნდა და გოგონა

I. იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა თოვლის გუნდა. ის ძალიან შორს, ცხრა მთას იქით, ყველაზე მაღალ მთაზე ცხოვრობდა. პატარა, მრგვალი, სასაცილო და თანაც ძალიან მხიარული ვინმე იყო. გუნდას ძალიან უყვარდა თამაში, მაგრამ იქ თოვლის გარდა არავინ ცხოვრობდა. ამიტომ იჯდა მოწყენილი და თოვლიან მთებს უყურებდა.

II. ერთ დღეს თოვლის გუნდამ უჩვეულო ხმა გაიგონა. ჩაიხედა ქვემოთ და რას ხედავს?... ასეთი ლამაზი ფერები გუნდამ პირველად დაინახა.

- ეს რა არის? – დაინტერესდა თოვლის გუნდა. – მოდი, ჩავალ და ვნახავ, - გაიფიქრა და დაგორდა. გუნდა პირდაპირ პატარა გოგონას ფეხებთან მიგორდა.
- ჭიტა! –გაუცინა გუნდამ გოგონას. გოგონამ გაოცებული დიდი ცისფერი თვალებით შეხედა უცნაურ კაცუნას. გუნდა გოგონასკენ წაბაჯბაჯდა. გოგონას შეეშინდა და უკან დაიხია.
- ეჰ, არც ამას უნდა ჩემთან თამაში, - მოიწყინა გუნდამ და თავი დახარა. გოგონას შეეცოდა პატარა თოვლის გუნდა და მოეფერა.
- თუ გინდა, ჩემი მეგობარი იყავი! – უთხრა გოგონამ გუნდას.
- მეგობარი, მეგობარი... რა კარგია, მე მეგობარი ვარ! –გამხიარულდა გუნდა.

III. გუნდამ და გოგონამ თამაში დაიწყეს. ჯერ დახუჭობანა ითამაშეს, შემდეგ – დაჭერობანა, თან მხიარულად მღეროდნენ. შემდეგ გოგონას სახლის აივნიდან საპნის ბუშტების გაშვება დაიწყეს. ბოლოს გაბერა გუნდამ წითელ–ყვითელი ბუშტები და გოგონასთან ერთად ცაში აფრინდა.

- ნახე, რა ლამაზია!
- შეხედე, რა მშვენიერია! – ეუბნებოდნენ ერთმანეთს. უცებ ჯერ ერთი ბუშტი გასკდა, შემდეგ – მეორე, მესამე და... გუნდა და გოგონა ფუმფულა ღრუბელზე დაეცნენ. ახლა ღრუბლით ისეირნეს ცაში. ბოლოს, ღრუბელი ნელ–ნელა დაეშვა გოგონას ეზოში.

IV. პატარა თოვლის გუნდას ძალიან დასცხა. მოიწყინა და ნელ–ნელა დნობა დაიწყო. გოგონა სახლში გაიქცა და ყინულები მოიტანა, მაგრამ სადღაა თოვლის გუნდა?! გოგონამ ტირილი დაიწყო. გავიდა ერთი დღე, ორი, სამი... თოვლის გუნდა კი არ ჩანდა.

5. დააკვირდი სურათს. თქვი, რა მოხდა შემდეგ?
☺ მოისმინე დასასრული, შემდეგ წაიკითხე და შეადარე შენს ვარაუდს (დამატებითი საკითხავი, გვ. 80).



6. რატომ გადაიქცა თოვლის გუნდა წვიმად? მოიფიქრე მეწყვილესთან ერთად. პასუხი მოძებნეთ წიგნის ბოლოს და დაასახელეთ (დამატებითი საკითხავი, გვ. 77 , როგორ გაჩნდა წვიმა.)

7. როგორი მეგობარია გოგონა? დაასაბუთე, საიდან ჩანს ეს.

1. წაიკითხე წერილი და უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს.



გამარჯობა, სოსო!

როგორ ხარ? როგორ არიან ლალი მამიდა და გურამი ბიძია? ორივე მომიკითხე.

სოსო, მინდა, ჩემი საუკეთესო მეგობარი გაგაცნო. მას დათო ჰქვია. დათო ჩემზე ერთი წლით უფროსია. ის ჩემს სკოლაში სწავლობს.

მე და დათო ძალიან ვგავართ ერთმანეთს. ისიც ჩემსავით მხიარული და ცნობისმოყვარეა. დათო ჩემთან შედარებით უფრო მაღალი და გამხდარია. აქვს დიდი თაფლისფერი თვალები და ქერა თმა. რომ ჩამოხვალ, აუცილებლად გაგაცნობ.

აბა, შენ იცი, ნახვამდის!

სანდრო
3 მარტი, 2012 წ.

ა. რა არის პირველი აბზაცის თემა?
ბ. რომელ აბზაცშია წარმოდგენილი წერილის მიზანი?
გ. რომელ აბზაცში გვაცნობს ავტორი თავის მეგობარს – ვინ არის და რას საქმიანობს?
დ. რის შესახებ საუბრობს ავტორი მესამე აბზაცში?

2. მოიფიქრე, ვის მისწერ წერილს. გააცანი მას შენი საუკეთესო მეგობარი. მიუთითე მისი ვინაობა, აღწერე გარეგნობა და ხასიათი. დაიცავი წერილის ფორმალური მხარე (მისალმება, მოკითხვა, დამშვიდობება, ხელმოწერა).

გრამატიკა

დააკვირდი!

მარტივი წინადადება



3. ჩაიფიქრე ერთ-ერთი თანაკლასელი. დაახასიათე და აღწერე, როგორია ის შენთან შედარებით. დანარჩენებმა უნდა გამოიცნონ, ვინ ჩაიფიქრე.

გამოიყენე!

ის ჩემსავით ...
ის ჩემთან შედარებით ...
ის ჩემზე უფრო ...

4. ჯერ მოისმინე დიალოგები და შემდეგ წაიკითხე მეწყვილესთან ერთად შესაბამისი ინტონაციით.

- ვინ არის შენი საუკეთესო მეგობარი?
- ჩემი საუკეთესო მეგობარი ჩემი კლასელია.
- რა ჰქვია მას?
- ნინო.
- რატომ არის ნინო საუკეთესო?
- იმიტომ არის, რომ ის ყველაზე ჭკვიანი და მხიარულია.

- რა ჰქვია შენს საუკეთესო მეგობარს?
- სანდრო.
- სად და როდის გაიცანი ის?
- სანდრო ერთი წლის წინ გავიცანი. ჩვენ ერთად დავდივართ ფეხბურთზე.
- რატომ არის სანდრო შენი საუკეთესო მეგობარი?
- იმიტომ, რომ ძალიან ვგავართ ერთმანეთს. ჩვენ ერთნაირი ხასიათი გვაქვს.

5. მოამზადეთ და გაითამაშეთ მსგავსი დიალოგები კლასში.

6. გამოიყენე ქვემოთ მოცემული კითხვები და ისაუბრე შენი საუკეთესო მეგობრის შესახებ.

- რა ჰქვია და რამდენი წლისაა?
- სად და როდის გაიცანი?
- როგორია გარეგნობით?
- რატომ არის ის შენი საუკეთესო მეგობარი?
- რა თვისებები აქვს?
- რა უყვარს და რა აინტერესებს?

1. მოისმინე ტექსტი და მიუთითე, რომელია ნატო.



2. წაიკითხე ტექსტი და დააკავშირე პირველი დავალების სურათთან. მიუთითე, რომელია მარინა.

ის ჩემი მეგობარია. მას მარინა ჰქვია. მარინა 12 წლისაა და მეექვსე კლასში სწავლობს. ჩვენ ერთად დავდივართ სიმღერაზე. მარინა ხატვაზეც დადის. მას ძალიან უყვარს ხატვა და კარგადაც ხატავს. ის ძალიან კეთილი და ჭკვიანი გოგოა. მე ძალიან მომწონს მისი გრძელი ტალღოვანი თმა და დიდი თაფლისფერი თვალები.

3. დააკვირდი პირველი დავალების სურათს და ისაუბრე გოგონების შესახებ: აღწერე მათი გარეგნობა და ხასიათი.

გამოიყენე!

ის არის გრძელთმიანი ...
მას აქვს მოკლე, სწორი თმა ...
არის წყნარი, მხიარული, ბრაზიანი ...

4. მოცემული სურათიდან აირჩიე ერთ-ერთი გოგონა და დაწერე რვეულში მეორე დავალების მსგავსი ტექსტი.

5. მოძებნე ქვემოთ მოცემულ ტექსტში <u>შეცდომები</u> და დაასახელე. სწორად გადაწერე ტექსტი რვეულში.

მე ბევრი მეგობარი მაქვს. ზოგი ჩემ კლასში სწავლობს, ზოგი ჩემსავით უფროსია. ჩემი საუკეთესო მეგობარი ჰქვია ნატო. მე და ნატო ტოლები ვართ. ის ჩემი მეზობელია. ჩემს და ნატოს სახლი ერთ ეზოში დგას, ამიტომ ჩვენ სულ ერთად ვართ. ნატო იმიტომ არის ჩემი საუკეთესო მეგობარს, რომ ჩემსავით ხასიათი აქვს. ჩვენ ძალიან ვგავართ ერთმანეთი. ისიც ჩემზე ცნობისმოყვარეა. ყველაფერი აინტერესებს. გარეგნულად მე და ნატო ერთმანეთი არ ვგავართ. მე მაქვს გრძელი სწორი თმა და ცისფერი თვალი.

6. შეადგინე წიგნი მეგობრების შესახებ.

ყველაფერი ჩემი მეგობრების შესახებ

ა) გააკეთე ალბომი (დახატე ისინი ან ჩააკარი მათი ფოტოები);
ბ) ჩაწერე ინფორმაცია მათ შესახებ;
გ) აკინძე და გააფორმე.



7. გააკეთეთ კედლის გაზეთი (იმუშავეთ ჯგუფებად).

მეგობრების ღიმილი

ა) ჩამოართვით ერთმანეთს ინტერვიუები;
ბ) შექმენით თქვენი მეგობრების მხიარული სურათები;
გ) გააფორმეთ გაზეთი და წარადგინეთ.



8. შეადგინე ლექსიკონი თემის გარშემო. დაალაგე მასალა შენი სურვილისამებრ:

ა) ანბანის რიგის მიხედვით;
ბ) გრამატიკული კატეგორიების მიხედვით (სახელები – ვინ/რა, როგორი... ზმნები...);
გ) მსგავსი (სინონიმები) და საპირისპირო (ანტონიმები) მნიშვნელობის სიტყვები...

თემა 3

ეს ჩვენი სახლია!

1. დაიყავით ჯგუფებად. დააკვირდით გლობუსს და ქვემოთ მოცემული სიტყვები დააკავშირეთ შესაბამის ციფრებთან. დაწერეთ თქვენი ვერსიები ფურცელზე და გააცანით ერთმანეთს.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის კონტინენტი? დაასახელე, რა არის.



ამერიკა აფრიკა ანტარქტიდა
გრენლანდია ავსტრალია ევრაზია

2. მოისმინეთ და შეამოწმეთ თქვენი ვერსიები.

3. რომელ კონტინენტზეა საქართველო? დაასახელე კონტინენტი და აჩვენე სურათზე.

4. დააკვირდი ქვემოთ მოცემულ სურათებს და დაასახელე, რომელ კონტინენტებზეა ისინი. მოისმინე ტექსტები და დააკავშირე სურათებთან.

5. დააკვირდი საქართველოს რუკას. მოისმინე ბავშვების რეპლიკები და შეასრულე დავალებები:

ა. მიუთითე, რომელია თორნიკე, რომელია ლუკა და რომელი - ბექა.

ბ. დაასახელე, ვინ საუბრობს და რის შესახებ. დააკავშირე ქვემოთ მოცემულ ფოტოებთან.

გ. დააკავშირე სურათები რუკასთან. მიუთითე, სად მდებარეობს ისინი.



6. მოისმინე ლექსი და დააკავშირე რუკასთან.

1

2

3

გრამატიკა

წაიკითხე და დააკავშირე!

-სად? -საით?

<u>რომელი:</u>

1. მიუთითებს მოქმედების ადგილს.
2. მიუთითებს მოქმედების მიმართულებას.

ა. დასავლეთით, ჩრდილოეთით...
ბ. სამხრეთ საქართველოში, სამხრეთში...

1. წაიკითხე ლექსი და უპასუხე შეკითხვებს.

შავი ზღვა

გამიგია, ზღვა ლურჯია
და ყოველთვის ლურჯად ვხატავ,
მამიკომ კი წუხელ გვითხრა:
– ვესტუმრებით მალე შავ ზღვას.

რატომ არის ნეტავ შავი,
როგორც იქნა, მივხვდი ახლა,
ალბათ, მზეზე დიდხანს ყოფნით
დაინვა და სულ გაშავდა.

ლელა ცუცქირიძე

1. ვინ არის ლექსის ავტორი?
2. რაზეა ლექსი?
3. რამდენი სტროფისაგან შედგება ლექსი?
4. ვინ არის ლექსის მთავარი პერსონაჟი?
   ა. მამა
   ბ. შვილი
   გ. არ ჩანს ლექსში

2. შენ როგორ ფიქრობ, რატომ ჰქვია მას შავი ზღვა? წაიკითხე ტექსტი, მოძებნე პასუხი და შემდეგ შეადარე შენს ვერსიას.

ზღვა და მისი ფერები

ა. ზღვა ოკეანის ნაწილია. ყველა ზღვა ლურჯი ფერისაა, მაგრამ ზოგჯერ ისინი სხვა შეფერილობასაც იღებენ. ბევრმა არ იცის, რომ არსებობს თეთრი, შავი, წითელი და ყვითელი ზღვები.

ბ. თეთრი ზღვა ერთადერთია ევროპაში, რომელიც ზამთარში ყინულით იფარება, ამიტომაც უწოდებენ მას თეთრ ზღვას. შავი ზღვა კი ზამთარში მუქ ფერს იღებს, ამიტომაც მას შავ ზღვას ეძახიან. წითელი ზღვაც ლურჯია, მაგრამ ზოგჯერ პანაწინა წითელი ბინადრების გამო მას წითელი ფერი გადაჰკრავს. ყვითელმა ზღვამ კი ეს სახელი იმიტომ მიიღო, რომ მდინარეს მასში ძალიან ბევრი ოქროსფერი ქვიშა ჩააქვს. ოქროსფერი ქვიშა წყალს ხშირად ყვითელ ფერს აძლევს.

3. უპასუხე შეკითხვებს.

ა. რა არის ტექსტის სათაური?
ბ. ვინ არის ტექსტის ავტორი?
გ. რამდენი აბზაცისაგან შედგება ტექსტი?
დ. რომელ აბზაცშია საუბარი კონკრეტული ზღვების შესახებ?
ე. რა არის ზღვა და რა ფერისაა ის? რომელ აბზაცში ვიგებთ ამის შესახებ?
ვ. რა გაიგე ახალი ამ ტექსტიდან?

4. შეადარე ლექსი და ტექსტი. რა აქვთ საერთო და რითი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან? რომელშია ამბავი გადმოცემული?

გრამატიკა

ზედსართავი არსებითთან ერთად

(როგორი/რომელი?)	(რა?)
შავი	**ზღვა**
(როგორ/რომელ?)	(რას?)
შავ	**ზღვას**

5. დააკვირდი სურათებს და თქვი:

ა. რის შესახებ იქნება ტექსტში საუბარი? რატომ ფიქრობ ასე?
ბ. რომელი ქალაქია გამოსახული სურათზე? რა იცი მის შესახებ?

6. დააკავშირე სურათები ტექსტის ნაწილებთან. დაასახელე, რომელი წინადადებები დაგეხმარა?

ა. კავკასია მდებარეობს შავ, აზოვისა და კასპიის ზღვებს შორის. ჩვენი სამშობლო სამხრეთ კავკასიაში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, მდებარეობს. მას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება რუსეთი, სამხრეთიდან – თურქეთი და სომხეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან კი – აზერბაიჯანი.

2

კავკასიის რუკა

1

საქართველოს დედაქალაქი

ბ. კავკასიას ორ ნაწილად ყოფს კავკასიონი. ესენია: ჩრდილოეთ კავკასია და სამხრეთ კავკასია.

კავკასიონი თოვლითა და მყინვარებით დაფარული ულამაზესი მთებია. მისი უმაღლესი მწვერვალია იალბუზი. იალბუზის შემდეგ კი ყველაზე მაღალია მყინვარწვერი, რომელიც საქართველოში მდებარეობს.

3

კავკასიონი

გ. საქართველოს დედაქალაქია თბილისი. თბილისი აღმოსავლეთ საქართველოში, მდინარე მტკვრის ხეობაში არის გაშენებული.

მტკვარი ქალაქს ორ ნაწილად ყოფს. ეს ორი ნაწილი ერთმანეთს ხიდებით უკავშირდება.

7. ტექსტის რომელ ნაწილშია მოცემული ინფორმაცია:

ა. კავკასიის შესახებ?
ბ. საქართველოს შესახებ?
გ. კავკასიონის შესახებ?

8. შენი აზრით, მოცემული სათაურებიდან რომელი გამოხატავს უკეთ მთლიანი ტექსტის შინაარსს და რატომ?

ა. კავკასია
ბ. საქართველო
გ. კავკასია და საქართველო

გრამატიკა

წაიკითხე და დააკავშირე!

საიდან?

<u>რომელი:</u>
1. მიუთითებს ადგილს.
2. მიუთითებს წარმომავლობას.

ა. არის თბილისიდან / სამხრეთ საქართველოდან.
ბ. ესაზღვრება სამხრეთიდან...

1. წაიკითხე სათაური და შეასრულე შემდეგი დავალებები:

ა. თქვი, რას ნიშნავს, შენი აზრით, მურა? დააკვირდი სურათებს და მოძებნე მურა დათვი. რა ფერია მურა?
ბ. გაიხსენე, სად ბინადრობენ თეთრი დათვები, დაასახელე და აჩვენე გლობუსზე. შენი აზრით, სად ბინადრობენ მურა დათვები?
დ. წაიკითხე ზღაპრის პირველი ნაწილი და შეამოწმე შენი პასუხი.

თეთრი დათვი და მურა დათვი

(თამარ ფხაკაძის მიხედვით)

ერთხელ ერთ ყინულოვან ქვეყანაში ერთი თეთრი დათვი უზარმაზარ ყინულზე წამოგორდა და ფიქრი დაიწყო. ხან პინგვინებზე იფიქრა, ხან – ზღვის ლომებზე, ხან რაზე და ხან რაზე და ბოლოს, აი, რა მოიფიქრა:

- მომბეზრდა აქ! აქეთ ყინული, იქით ყინული! აქეთ პინგვინი, იქით პინგვინი! საჭმელიც – სულ თევზი და თევზი. წავალ, უკეთეს ადგილს მოვძებნი. დედამიწა დიდია, ადგილების მეტი რა არის?!

ასეც მოიქცა. ადგა და წავიდა.

სწორედ ამ დროს ერთ თბილ ქვეყანაში მურა დათვი ერთი ტყის პირას, ხასხასა მოლზე იწვა და ფიქრობდა:

- უჰ, მომბეზრდა! აქეთ ტყე, იქით ტყე! აქეთ შინდი, იქით პანტა! ყოველდღე თაფლი და თაფლი. მომწყინდა! დედამიწა დიდია, ადგილის მეტი რა არის? წავალ და უკეთეს ადგილს მოვძებნი.

ადგა მურა დათვი და წავიდა.

2. რა მოხდა შემდეგ? იმუშავე მეწყვილესთან ერთად. დააკვირდით სურათებს და დაალაგეთ ისე, რომ ზღაპრის გაგრძელება მიიღოთ.

1

2

3



გრამატიკა

სად?

- აქეთ / იქით
- თბილ ქვეყანაში
- ტყის პირას
- ხასხასა მოლზე
- უზარმაზარ ყინულზე

3. წაიკითხე ზღაპრის გაგრძელება და შეადარე შენს ვარაუდს. დააკავშირე ეპიზოდები შესაბამის სურათებთან (გვ. 34-35).

ა. იარა თეთრმა დათვმა. ბევრი იარა. იარა მურა დათვმა. ბევრი იარა. შუა გზაზე ერთმანეთს შეხვდნენ.

- ჰეი, ძმობილო, საით გაგიწევია? – შესძახა თეთრმა დათვმა.
- მომწყინდა ერთ ადგილას ყოფნა. სხვა ადგილი უნდა ვნახო! – უპასუხა მურამ, – შენ საით მიდიხარ, ძმობილო?
- მეც მომწყინდა, – მიუგო თეთრმა დათვმა, – წავალ, უკეთეს ადგილს ვნახავ.

ბ. იარა მურა დათვმა და ჩავიდა ყინულოვან ქვეყანაში. მიიხედა, მოიხედა – მოეწონა. ჯერ პინგვინთან მივიდა, შემდეგ – ზღვის ლომთან, მაგრამ ყველა გაიქცა. მათ მურა დათვი პირველად ნახეს და შეეშინდათ.

სულ მარტო დარჩა მურა. სიცივისაგან კანკალი დაიწყო. მერე მოშივდა. თვალებში სულ შინდი, პანტა და თაფლი ელანდებოდა, მაგრამ იქ ყინულების მეტი არაფერი იყო. წამოვიდა მურა დათვი უკან, თავის მხარეში.

გ. იარა თეთრმა დათვმა, იარა და ერთ ტყეში მივიდა. მიიხედა, მოიხედა – მოეწონა. მზე ჩახჩახებდა. ერთი ყინულიც კი არ იყო ირგვლივ. ჯერ კურდღელთან მივიდა, შემდეგ – ზღარბთან, მაგრამ ყველა გაიქცა. თეთრი დათვი პირველად ნახეს და შეეშინდათ. სულ მარტო დარჩა თეთრი დათვი. ძალიან დასცხა. მერე მოშივდა. თვალებში სულ ყინულივით ცივი თევზი ელანდებოდა, მაგრამ ტყეში ხეების მეტი არაფერი იყო. წამოვიდა თეთრი დათვი უკან, თავის მხარეში.

4. დააკვირდი სურათს და თქვი, შენი აზრით, რაზე საუბრობენ თეთრი და მურა დათვები?

მოისმინე ზღაპრის დასასრული და შეადარე შენს ვერსიას.

1. წაიკითხე ტექსტი და ქვემოთ მოცემული რუბრიკები დააკავშირე შესაბამის აბზაცებთან.

ა. საცხოვრებელი ადგილი
ბ. საკვები
გ. ფიზიკური მონაცემები (გარეგნობა)
დ. განმარტება

აქლემი

I. აქლემი უდაბნოს ცხოველია. მის შვილს კოზაკი ჰქვია.

II. ბინადრობს აზიაში, აფრიკაში, ავსტრალიასა და სამხრეთ ამერიკაში.

III. აქლემს დიდი ტლანქი სხეული და გრძელი კისერი აქვს. იწონის 500-800 კილოგრამს. ზურგზე ერთი ან ორი კუზი აქვს. არის ღიაც და მუქი ფერისაც.

IV. იკვებება მცენარეებით. სვამს ცოტა წყალს. ზოგჯერ მლაშე წყალსაც. დიდხანს შეუძლია წყლის გარეშე გაძლება.

2. წაიკითხე ტექსტში გახაზული სიტყვები და მიუთითე, ქვემოთ მოცემული ინფორმაციიდან რომელს გამოხატავს:

ა. ახასიათებს რაიმეს კონკრეტული ნიშნით (როგორია?)
ბ. მიუთითებს ადგილს (სად? საიდან?)
გ. მიუთითებს მიზეზს (რატომ?)

3. ქვემოთ მოცემული მონაცემების გამოყენებით შეადგინე ტექსტი. დაიცავი ტექსტის ფორმალური მხარე (დაწერე სათაური, გამოყავი აბზაცები რუბრიკების მიხედვით).

I. დასახელება: სათვალიანი დათვი.

II. საცხოვრებელი: სამხრეთ ამერიკა, ვენესუელა, ჩილე.

III. ფიზიკური მონაცემები:
სხეულის სიგრძე – 2 მეტრი,
წონა – 80-200 კგ. თვალებთან აქვს ღია ყვითელი ფერის ლაქები, რომლებიც ჰგავს სათვალეს.

IV. საკვები: მცენარეები, ხილი.

4. დააკვირდი სურათებს და ისაუბრე მათ შესახებ.

დაასახელე:

1. რა არის?
2. სად მდებარეობს?
3. რით არის მნიშვნელოვანი და საინტერესო?

1. რა ჰქვია?
2. სად ბინადრობს?
3. აღწერე და დაახასიათე, როგორია?
4. საინტერესო დამატებითი ინფორმაცია მის შესახებ.



5. წაიკითხე დიალოგი მეწყვილესთან ერთად.

- იცი, რა არის ჯიხვი?
- ვიცი, დიდი ზომის თხაა. მას გარეულ თხასაც უწოდებენ.
- ყველგან არის გავრცელებული?
- არა, მარტო კავკასიაში.
- სად ბინადრობს ჯიხვი, ტყეში?
- არა, ძალიან მაღალ მთებში.

6. გამოიყენე ზემოთ მოცემული სურათები და გაითამაშე დიალოგები მეწყვილესთან ერთად.

1. მოისმინე ლექსი და დააკავშირე სურათთან.





2. წაიკითხე ლექსი და უპასუხე შეკითხვებს. დააკავშირე დათვების ამბავთან. რა საერთო აქვს ლექსსა და ზღაპარს ერთმანეთთან?

ტურისტი

აერია პინგვინს გზები,
მოდის საქართველოში,
ანტარქტიდის ყინული
წამოიღო თერმოსით.
– თერმოსით რას გეყოფა,
თბილისში ხომ ინვიან?
– ნუ ინაღვლებთ, ჩემოდანში
ლოლუები მინყვია.

თეა თოფურია

1. სად ცხოვრობს პინგვინი და სად მიდის?
2. როგორი მხარეებია ანტარქტიდა და საქართველო?
3. რა უჭირავს პინგვინს ხელში?
4. რა დევს ჩემოდანში?
5. რა არის ლოლუა?
6. რას ნიშნავს ტურისტი? დაიხმარე ლექსის შინაარსი.

3. წაიკითხე და მონიშნე ფურცელზე სწორი პასუხი.

<u>რომელია მსოფლიოში ყველაზე მაღალი, მშრალი და ცივი კონტინენტი?</u>

ა. ანტარქტიდა ბ. გრენლანდია გ. ჩრდილოეთ ამერიკა

<u>რომელია მსოფლიოში ყველაზე დიდი კუნძული?</u>

ა. ვიქტორია ბ. გრენლანდია გ. სიცილია

<u>რომელია მსოფლიოში ყველაზე მაღალი მწვერვალი?</u>

ა. იალბუზი ბ. უშბა გ. ევერესტი

<u>რომელია კავკასიაში ყველაზე გრძელი მდინარე?</u>

ა. თერგი ბ. მტკვარი გ. რიონი

<u>რომელია მსოფლიოში ყველაზე ცივი ზღვა?</u>

ა. თეთრი ზღვა ბ. შავი ზღვა გ. წითელი ზღვა

4. მოისმინე და შეამოწმე შენი პასუხები.

5. შეისწავლე და წარადგინე კლასში შენი მხარე.

კარგად იცნობ თუ არა შენს მხარეს?

რა არის ყველაზე საინტერესო და ლამაზი შენს მხარეში, რეგიონში, ქალაქსა თუ სოფელში?

- გააკეთე ფოტოალბომი.
- შენი ფოტოებიდან შეარჩიე ერთი, მოიძიე ინფორმაცია ფოტოზე გამოსახული ღირსშესანიშნაობის შესახებ და დაწერე.
- გააფორმე შენი ნაწერი ნახატებით ან ფოტოილუსტრაციებით და წარადგინე კლასში.

6. მოამზადეთ ზღაპრის სცენარი და დადგით საკლასო სპექტაკლი.

თეთრი დათვისა და მყრა დათვის ამბავი

- დაამუშავეთ ზღაპრის სცენარი მასწავლებელთან ერთად;
- გაინაწილეთ როლები;
- მოამზადეთ მარტივი დეკორაცია;
- ისწავლეთ რეპლიკები და გაითამაშეთ კლასში.

7. შეადგინე ლექსიკონი თემის გარშემო. დაალაგე მასალა შენი სურვილისამებრ:

- ანბანის რიგის მიხედვით;
- გრამატიკული კატეგორიების მიხედვით (სახელები – ვინ/რა, როგორი... ზმნები);
- მსგავსი (სინონიმები) და საპირისპირო (ანტონიმები) მნიშვნელობის სიტყვები.

თემა 4

ლაბირინთში

1. დააკვირდი ლაბირინთს და წაიკითხე, რომელი რას აკეთებს.



გრამატიკა

წაიკითხე და დააკავშირე!

მოქმედების მიმართულება

1. მოქმედება მიმართულია ჩემგან იქით.
2. მოქმედება მომართულია ჩემკენ / აქეთ.

ა. **მო**დის, **გამო**დის, **შემო**დის, **ამო**დის, **ჩამო**დის, **გადმო**დის
ბ. **მი**დის, **გა**დის, **შე**დის, **ა**დის, **ჩა**დის, **გად**ადის

2. დააკვირდი სურათებს და თქვი, რას აკეთებს კარლსონი. რატომ ფიქრობ ასე? გაეცანი ქვემოთ მოცემულ სქემას.

ადის თუ **ამოდის**?



ჩადის თუ **ჩამოდის**?



შედის თუ **შემოდის**?

გადის თუ **გამოდის**

3. მოისმინე, თქვი, რას აკეთებს კარლსონი და დაასახელე, რომელი ბავშვი ამბობს. მიუთითე შესაბამისი ციფრი.

გრამატიკა

დააკვირდი!



ის ადის მასთან.
მე და შენ იქ არ ვართ.

ის ამოდის ჩემთან (**მე** იქ ვარ).
ის ამოდის შენთან (**შენ** იქ ხარ).
ის ამოდის მასთან (**მე** იქ ვარ).

1. წაიკითხე ექსკურსიის განრიგი და უპასუხე შეკითხვებს.

თბილისი — ლაგოდეხი — თბილისი

პირველი დღე: გასვლა დილის 9 საათზე სკოლის ეზოდან და წასვლა ავტობუსით თელავის მიმართულებით. თელავში ჩასვლა საღამოს 7 საათზე.

მეორე დღე: გასვლა დილის 10 საათზე თელავიდან ლაგოდეხისაკენ. 1 საათზე ფეხით წასვლა ნინოსხევის ხეობაში და ნინოსხევის ჩანჩქერთან მისვლა.

მესამე დღე: გამოსვლა ლაგოდეხიდან 12 საათზე და თბილისში ჩამოსვლა საღამოს 8 საათზე.

ა. საიდან მიდიან ექსკურსიაზე?
ბ. რომელ საათზე გადის ავტობუსი თბილისიდან?
გ. საიდან გადის ავტობუსი დილის 9 საათზე?
დ. სად ჩადიან პირველ დღეს?
ე. საით მიდიან თელავიდან?
ვ. სად ადიან ფეხით?
ზ. როდის მოდიან ლაგოდეხიდან?
თ. რომელ საათზე ჩამოდიან თბილისში?

2. დააკვირდი სურათებს და დააკავშირე დღეებთან.

1

2



3. დააკვირდი სურათებს და აღწერე:

ა) სად არიან;
ბ) დღის რომელი მონაკვეთია;
გ) ვინ რას აკეთებს.

გრამატიკა

საიდან სადამდე?
თბილისიდან ლაგოდეხამდე
საიდან საით?
თბილისიდან ლაგოდეხის მიმართულებით
თბილისიდან ლაგოდეხისკენ
საიდან სად?
თბილისიდან ლაგოდეხში

4. წაიკითხე ტექსტი. გაეცანი ქვემოთ მოცემულ ინფორმაციას და დაასახელე, რომელი არ არის სწორი. გაასწორე მცდარი ინფორმაცია.

ა. ნიკას ბიძაშვილები მთაში ცხოვრობენ.
ბ. ნიკა 10 საათზე მიდის სოფელში.
გ. საჩუქრების მაღაზია არის სადგურში.
დ. ნიკას ძმა ბაბუასთან ერთად წავიდა სოფელში.
ე. ნიკას და ლაგოდეხიდან ჩავა სოფელში.

მე ნიკა მქვია. ვცხოვრობ თბილისში. ჩემი სოფელი მთაშია. იქ ჩემი ბიძაშვილები ცხოვრობენ.

დღეს მე და მამაჩემი სოფელში მივდივართ. ახლა 10 საათია. მალე მაღაზიაში წავალთ და საჩუქრებს ვიყიდით. მერე სადგურში მივალთ და იქიდან ავტობუსით წავალთ. ავტობუსი 4 საათზე გადის სადგურიდან. ჩემი ძმა უკვე სოფელშია. ის და ბაბუა ორი დღის წინ ჩავიდნენ იქ.

ჩემი და ახლა ვერ მოდის. ის დღეს დილით ექსკურსიაზე წავიდა მეგობრებთან ერთად. ისინი ლაგოდეხში წავიდნენ ნინოსხევის ჩანჩქერის სანახავად. ჩემი და ლაგოდეხიდან ორ დღეში ჩამოვა და მერე ის და დედაჩემი ერთად ჩამოვლენ სოფელში.

5. დააკვირდი ტექსტში ხაზგასმულ სიტყვებს და დაასახელე მოქმედების შესრულების დრო — ახლა სრულდება, უკვე შესრულდა, თუ მერე შესრულდება.

6. თავიდან წაიკითხე ტექსტი და თქვი, ვინ ყვება ამბავს. მიუთითე ნიკას დის მოქმედების მიმართულება: საიდან სად?

ნიკას და თბილისიდან წავიდა ლაგოდეხში, ლაგოდეხიდან ის ჯერ თბილისში ... და შემდეგ თბილისიდან ... სოფელში.

გრამატიკა

წაიკითხე და დააკავშირე

1. მოქმედება ახლა სრულდება.
2. მოქმედება უკვე შესრულდა.
3. მოქმედება მერე შესრულდება.

ა. მე გუშინ წავედი სოფელში.
ბ. მე ხვალ წავალ სოფელში.
გ. მე დღეს მივდივარ სოფელში.

1. წაიკითხე პირველი აბზაცი და თქვი, რა არის გვრიტი? დაასახელე, რომელი სიტყვა დაგეხმარა? წაიკითხე პირველი ნაწილი ბოლომდე და უპასუხე შეკითხვებს.

გვრიტი

(ზღაპარი)

იყო და არა იყო რა, იყო ერთი დედა გვრიტი. დედა გვრიტი ბარტყებთან ერთად ერთ მაღალ ხეზე ცხოვრობდა.

ერთხელ დედა გვრიტი შორს გაფრინდა საჭმლის მოსატანად. ამ დროს ერთი ძალიან ცუდი და ბოროტი კაცი მოვიდა, ავიდა ხეზე, ამოიყვანა ბარტყები ბუდიდან და შინ წაიყვანა.

ა. რომელ აბზაცში ვიგებთ, რა მოხდა გვრიტის ოჯახში?
ბ. რას ვიგებთ პირველი აბზაციდან?

2. დააკვირდი სურათს და თქვი, რა მოხდება შემდეგ? წაიკითხე ზღაპრის გაგრძელება და შეამოწმე შენი ვარაუდი.



დაბრუნდა გვრიტი და რას ხედავს?! ბარტყები აღარ არიან ბუდეში. დაღონებული გვრიტი ბარტყების მოსაძებნად წავიდა. შემოხვდა მამალი.

– გვრიტო, გვრიტო, სად მიფრინავ? – ჰკითხა მამალმა გვრიტს.
– შვილების მოსაძებნად, – უპასუხა გვრიტმა მამალს.
– მეც შენი მშველელი ვიქნები, – უთხრა მამალმა.
– ძალიან კარგი, - გაუხარდა გვრიტს.

იარეს, იარეს და ახლა მახათი შემოხვდათ გზაზე.

– გვრიტო, გვრიტო, სად მიფრინავ?
– შვილების საპოვნელად.
– მეც შენი მშველელი ვიქნები, – უთხრა მახათმა და უკან გაჰყვა.

შემდეგ ფილთაქვა და ვირი შეხვდნენ გვრიტს და ისინიც უკან გაჰყვნენ.

3. შეადგინე ფილთაქვისა და ვირის დიალოგები გვრიტთან.

4. რა მოხდა შემდეგ? იმუშავეთ წყვილებში. დააკვირდით სურათებს და დაალაგეთ ისე, რომ ზღაპრის დასასრული მიიღოთ.





გრამატიკა

სად?

-ში: სოფელში, ნაღვერდალში ...
-ზე: მხრებზე, ბუხრის თავზე...
-თან: კართან, გალიასთან...
ბუხრის პირას
გარეთ

საიდან?

-იდან: სახლიდან, კარიდან,
სხვენიდან, ზევიდან

5. წაიკითხე ზღაპარი და მოცემული ეპიზოდები დააკავშირე სურათებთან.

I. ღამით ერთ სოფელში მივიდნენ. ერთი სახლიდან პატარა გვრიტების საცოდავი ხმა შემოესმათ. ყველანი იმ სახლთან შეგროვდნენ. ვირი კართან დადგა, მახათი კარიდან შეძვრა, სხვები სხვენიდან ჩაძვრნენ სახლში.

II. მამალი ბუხრის თავზე აფრინდა, ფილთაქვა ნაღვერდალში შეძვრა, მახათი ბუხრის პირას დაერჭო, გვრიტი გალიასთან მიფრინდა.

III. სახლის პატრონს გამოეღვიძა და ბუხართან მივიდა. ამ დროს ფილთაქვა გასკდა და ნაღვერდალი თვალებში შეაყარა, მახათი ბარძაყში შეერჭო, მამალმა ზევიდან იყივლა. კაცს შეეშინდა და გარეთ გავარდა. ვირმა კაცს წიხლი ჰკრა. კაცი დაეცა. გვრიტმა გალიის კარი გააღო, ბარტყები ფრთებზე შეისხა და ღუღუნ–ღუღუნით გაფრინდა.

1. ქვემოთ მოცემული ინფორმაციის გამოყენებით, მისწერე წერილი შენს მეგობარს.

ა) <u>წერილის თემა</u> — ექსკურსია საღამოს ტბაზე;
ბ) <u>წერილის შინაარსი</u>: როდის წახვედით და სად, დაწვრილებით აღწერე ექსკურსიის მარშრუტი, მიაწოდე ინფორმაცია ტბის შესახებ;
გ) გაითვალისწინე <u>წერილის ფორმალური მხარე</u> — მისალმება, მოკითხვა, დამშვიდობება.

<u>ექსკურსიის განრიგი:</u>

ქუთაისი — საღამოს ტბა — ქუთაისი

პირველი დღე: გასვლა დილის 8 საათზე სკოლის ეზოდან და წასვლა ავტობუსით ახალციხის მიმართულებით. ახალციხეში ჩასვლა საღამოს 6 საათზე.

მეორე დღე: გასვლა დილის 11 საათზე ახალციხიდან ნინოწმინდისაკენ. 2 საათზე ავტობუსით წასვლა სოფელ საღამოში, ფეხით მისვლა საღამოს ტბასთან და მდინარე ფარავანთან, ასვლა სოფელ საღამოს მთაზე.

მესამე დღე: გამოსვლა ნინოწმინდიდან 10 საათზე და ქუთაისში ჩამოსვლა საღამოს 6 საათზე.

<u>ინფორმაცია საღამოს ტბის შესახებ:</u>

ა) <u>ადგილმდებარეობა</u>: სამხრეთ საქართველო, სამცხე–ჯავახეთი, ნინოწმინდა.

ბ) <u>მნიშვნელოვანი ინფორმაცია:</u> სიღრმე – 2 მეტრი, იყინება 4-5 თვით, ტბასთან მდებარეობს სოფელი საღამო, ტბაში ჩაედინება მდინარე ფარავანი.



2. მოისმინე დიალოგი და შემდეგ წაიკითხე მეწყვილესთან ერთად.

- ხვალ ჩვენ ექსკურსიაზე მივდივართ.
- სად მიდიხართ?
- ყელის ტბაზე.
- სად არის ყელის ტბა?
- ახალგორში.
- ავტობუსით მიდიხართ?
- კი. დიდუბის სადგურიდან გავალთ დილით. ჩავალთ ახალგორში და ახალგორიდან ფეხით მივალთ ტბასთან.

3. დააკვირდი ექსკურსიების მარშრუტებს და ისაუბრე მათ შესახებ. გამოიყენე მომავალი დრო: <u>სად წავლენ და როდის? რას გააკეთებენ?</u>

ყურადღება მიაქციე მოქმედების მიმართულებას!

I. თბილისი — ანანური

<u>გასვლა:</u> 9 საათი, სადგური. ჩასვლა: 11 საათი, სოფელი ანანური. <u>ასვლა:</u> ანანურის ციხე. <u>ჩამოსვლა:</u> 6 საათი.

II. ახალციხე — თბილისი

<u>გასვლა:</u> 8 საათი, სკოლის ეზო. <u>ჩასვლა:</u> 12 საათი. <u>ასვლა</u>: მთაწმინდის პარკი, კუს ტბა. <u>ჩასვლა:</u> მზიურის პარკი. <u>შესვლა</u>: ისტორიის მუზეუმი. <u>ჩამოსვლა:</u> 9 საათი.

გამოიყენე!

სად? – მთაში, ქალაქში... / მთაზე, ტბასთან...
საიდან? – ქალაქიდან, სადგურიდან, ეზოდან...
საით? – ქალაქის მიმართულებით, ქალაქისკენ

4. გამოიყენე ზემოთ მოცემული მარშრუტები და გაითამაშე მეწყვილესთან ერთად მეორე დავალების მსგავსი დიალოგები.

1. დააკვირდი ნახატს, მოისმინე და მიუთითე, რომელი გზის შესახებ საუბრობს. დაასახელე შესაბამისი გზის ნომერი.



2. გამოიყენე ნახატი და აღწერე პატარა ტბასთან მისასვლელი ყველა მარშრუტი.

3. მოძებნე ტექსტში მოცემული <u>შეცდომები</u> და დაასახელე. სწორად გადაწერე ტექსტი რვეულში და წაიკითხე.

მე ლაშა ვარ. ზღვაში ოთხი დღის წინ ჩამოვედი. თბილისიდან მატარებლით ჩავედი ჯერ ქუთაისისაკენ. ქუთაისიდან ტაქსით ჩავედი მაღლა სოფელში და იქ ორი დღე ვიყავი დეიდაჩემთან. ორი დღის შემდეგ ბიძაჩემის მანქანით ამოვედი ბათუმში. ხვალ ლევანი მიდის ჩემთან. ჩემი მეგობარი ავტობუსით მიდის. ავტობუსი სადგურიდან დილით ათ საათზე შევა და ხუთ საათზე ბათუმში იქნება.

4. უპასუხე შეკითხვებს.

ა. რა სახეობის ტრანსპორტით იმგზავრა ლაშამ თბილისიდან ბათუმამდე?
ბ. რამდენი დღის წინ წავიდა თბილისიდან?
გ. სად ცხოვრობს დეიდა?
დ. საიდან ჩავიდა ბათუმში?
ე. ვინ არის ლევანი?

5. შესთავაზე კლასელებს საინტერესო ექსკურსიის პროექტი.

უკეთ გავიცნოთ ჩვენი საქართველო!

დაიყავით ჯგუფებად და მოამზადეთ პროექტი:

1. მოიფიქრეთ, სად წახვალთ და რას ნახავთ.
2. მოიძიეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რის ნახვასაც აპირებთ.
3. შეადგინეთ ექსკურსიის მარშრუტის გეგმა.
4. გააფორმეთ გეგმა და წარადგინეთ კლასში.
5. ისაუბრეთ გეგმის შესახებ.
6. გააცანით თქვენი მოძიებული ინფორმაცია კლასელებს.

6. მოამზადეთ და დადგით საკლასო სპექტაკლი.

გვრიტი

1. დაამუშავეთ ზღაპრის სცენარი მასწავლებელთან ერთად;
2. გაინაწილეთ როლები;
3. მოამზადეთ მარტივი დეკორაცია;
4. ისწავლეთ რეპლიკები და გაითამაშეთ კლასში.

7. შეადგინე ლექსიკონი თემის გარშემო. დაალაგე მასალა შენი სურვილისამებრ:

1. ანბანის რიგის მიხედვით;
2. გრამატიკული კატეგორიების მიხედვით (სახელები — ვინ/რა, როგორი... ზმნები);
3. მსგავსი (სინონიმები) და საპირისპირო (ანტონიმები) მნიშვნელობის სიტყვები.

თემა 5

იყო და არა იყო რა...

1. მოისმინე ბავშვების დიალოგი და ქვემოთ ჩამოთვლილი ვარიანტების მიხედვით მონიშნე ფურცელზე ყველა სწორი პასუხი.



1. როგორი ბავშვი იყო?

ა. ცოტა მსუქანი და ხუჭუჭთმიანი;
ბ. ძალიან გამხდარი და სასაცილო;
გ. მხიარული და ცნობისმოყვარე;
დ. ძალიან წყნარი და მშვიდი.

2. რა უყვარდა და აინტერესებდა ყველაზე მეტად?

ა. უცნაური ამბები ცხოველებზე;
ბ. ზღაპრების კითხვა და მულტფილმების ყურება;
გ. ფეხბურთის თამაში;
დ. ხატვა.

3. რაზე დადიოდა, როცა პატარა იყო?

ა. არაფერზე არ დადიოდა;
ბ. მარტო ფეხბურთზე;
გ. ხატვასა და სიმღერაზე;
დ. ცურვაზე.

4. სად ისვენებდა ზაფხულობით?

ა. ბებიასთან, სოფელში;
ბ. ჯერ – ზღვაზე და მერე –მთაში;
გ. ჩემს დეიდაშვილებთან;
დ. ხან – სად და ხან – სად.

5. რითი ერთობოდა იქ?

ა. დადიოდა ტყეში;
ბ. ბანაობდა მდინარეში;
გ. სეირნობდა გემით;
დ. თამაშობდა.

გრამატიკა

წარსული დრო

(წინათ; ადრე; გუშინ; ერთი წლის წინ; როცა პატარა იყო; პატარაობისას...)

წყვეტილი (1) (რა გააკეთა მან?)

უწყვეტელი (2) (რას აკეთებდა ის?)

აწმყო	უწყვეტელი
წერ-ს	წერ-დ-ა
მიდი-ს	მიდი-ოდ-ა

დააკავშირე!

წინადადება, სადაც

1. ჩანს, რომ მოქმედება დასრულდა.
2. არ ჩანს, მოქმედება დასრულდა თუ არა.

ა. ეს წიგნი გუშინ წაიკითხა.
ბ. ამ წიგნს გუშინ კითხულობდა.

2. დააკვირდი სურათებს. რა შეგიძლია თქვა მათ შესახებ? ქვემოთ მოცემული კითხვები დააკავშირე სურათებთან.

3. მეწყვილესთან ერთად მოიფიქრე ამ კითხვების სავარაუდო პასუხები და ჩაინიშნე ფურცელზე. წაიკითხეთ პასუხები კლასში და შეადარეთ სხვების პასუხებს.

☺ მოისმინეთ და შეამოწმეთ თქვენი ვარიანტები.

1. რა ჰქვია ამ ცხოველს? სად ბინადრობდნენ ეს ცხოველები?
2. რისგან ამზადებდნენ ქაღალდს?
3. რითი წერდნენ წინათ ადამიანები?
4. ვინ გამოიგონა ტელეფონი?
5. ვისთვის გამოიგონეს ჯინსი?
6. როგორ გადასცემდნენ ადამიანები ინფორმაციას ძველად?
7. როდის გამოიგონეს პირველი ავტომობილი?

1. ტესტის შეკითხვები დააკავშირე სურათებთან (გვ. 51). წაიკითხე კითხვარი და დაასახელე სწორი პასუხები.
მოისმინე და შეამოწმე შენი ვარიანტები.

1. რომელი მანქანა შეიქმნა პირველად?
ა. „მერსედეს ბენცი"
ბ. „ფორდი"
გ. „ბეემვე"

2. რას ნიშნავს „დინოზავრი"?
ა. საშინელ ჟირაფს
ბ. საშინელ ნიანგს
გ. საშინელ ხვლიკს

3. სად გამოიგონეს ქაღალდი?
ა. ეგვიპტეში
ბ. ჩინეთში
გ. ინდოეთში

4. რა ღირდა პირველი ჯინსი?
ა. 1 დოლარი და 46 ცენტი
ბ. 10 დოლარი და 10 ცენტი
გ. 100 დოლარი

2. გაიხსენე ყველა ინფორმაცია და შეადგინე წინადადებები რვეულში.

ნიმუში: <u>პირველი ავტომობილი შეიქმნა 1886 წლის 4 აპრილს.</u>

3. გამოიყენეთ თქვენ მიერ დაწერილი წინადადებები, დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და უპასუხეთ.

– როდის შეიქმნა მერსედეს ბენცი?
– რისგან ამზადებდნენ ქაღალდს?

– მერსედეს ბენცი შეიქმნა...
– ქაღალდს ამზადებდნენ...

4. მოისმინე ტექსტი და თქვი, ქვემოთ მოცემული წინადადებებიდან რომელია სწორი და რომელი – არა. დაასახელე, რა შეცდომაა. ეს წინადადებები სწორად გადაწერე რვეულში.

ა. დინოზავრები დედამიწაზე ბინადრობენ.
ბ. ზოგ დინოზავრს გრძელი კისერი ჰქონდა, ზოგს კი – მოკლე.
გ. ზოგი დინოზავრი მცენარეებს ჭამდა, ზოგი კი – თევზებს.
დ. დინოზავრები ჯგუფებად დადიოდნენ.
ე. ზოგი დინოზავრი სწრაფად დარბის, ზოგი ნელა მოძრაობს, ზოგი კი დაფრინავს.
ვ. დინოზავრები ბუდეებში ცხოვრობენ.
ზ. დინოზავრის ნაკვალევი აღმოჩენილია ქუთაისთან ახლოს, სათაფლიაში.

გრამატიკა

დააკავშირე:

1. ახლანდელი დრო
2. წარსული დრო

ა. წინათ მიდიოდნენ, იკვებებოდნენ, ცხოვრობდნენ.
ბ. ახლა იკვებებიან, ცხოვრობენ, მიდიან.

5. დააკვირდი ფოტოებს და თქვი, ვინ არიან ისინი და რა იცი მათ შესახებ? გაიხსენე მათი პერსონაჟები. რომელი გიყვარს ყველაზე მეტად და რატომ?

6. წაიკითხე ინფორმაცია და შეასრულე დავალებები რვეულში.

ასტრიდ ლინდგრენი

(1907 წ. 14 ნოემბერი — 2002 წ. 28 იანვარი)

დაიბადა შვედეთის პატარა ქალაქში – ვიმერბიუში. ცხოვრობდა სტოკჰოლმში. სკოლაში კარგად სწავლობდა. უყვარდა ლიტერატურა. ბავშვობაში ბევრს კითხულობდა. განსაკუთრებით აინტერესებდა ზღაპრები და მხიარული ისტორიები.

ყოველ საღამოს ასტრიდი თავის ქალიშვილს – კატრინს ზღაპრებს უყვებოდა. ერთხელ შვილმა სთხოვა დედას, პეპი გრძელიწინდას შესახებ მომიყევიო. დედამ არ იცოდა, ვინ იყო პეპი.

გავიდა სამი წელი. სტოკჰოლმში დიდი თოვლი მოვიდა და ასტრიდ ლინდგრენი ქუჩაში წაიქცა. იწვა ერთი ჩვეულებრივი შვედი დიასახლისი ლოგინში და საკუთარი ქალიშვილისთვის დაბადების დღის საჩუქარს ამზადებდა – პეპი გრძელიწინდას მხიარულ თავგადასავლებს წერდა.

კატრინმა დედას ისიც უთხრა, იცი, ფანჯრიდან პატარა კაცი შემოფრინდა და კარადის უკან დაიმალაო. ეს პატარა კაცი სახურავის ბინადარი კარლსონი იყო.

„ყველაზე საოცარ ზღაპარს
ადამიანის ცხოვრება წარმოადგენს".

ჰანს ქრისტიან ანდერსენი

ჰანს ქრისტიან ანდერსენი

(1805 წ. 2 აპრილი - 1875 წ. 4 აგვისტო)

"მსოფლიოს უპირველესი მეზღაპრე" – ასე უწოდეს ჰანს ქრისტიან ანდერსენს.

ის დაიბადა დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში. ძალიან უცნაური ბავშვი იყო. სკოლაში სიარულს ადრე დაანება თავი და სახლში თოჯინების პატარა თეატრი მოაწყო. ჰანსი თავისი მარიონეტებისათვის ტანსაცმელს საკუთარი ხელით კერავდა და სპექტაკლებსაც დგამდა. მას უყვარდა სიმღერა და კარგად მღეროდა. ოცნებობდა ოპერის მომღერლობაზე.

ბავშვობაში ის ცეკვავდა კიდეც. ყველაზე მეტად ჰანს ქრისტიან ანდერსენს წიგნები უყვარდა და კითხულობდა ყველაფერს, რასაც კი ნახავდა.

1. გაიხსენე რევაზ ინანიშვილისა და ოტია იოსელიანის მოთხრობები და მოკლედ ისაუბრე მათ შესახებ (რა სათაური აქვს მოთხრობას? რა არის იქ გადმოცემული? ვინ არიან პერსონაჟები? როგორები არიან და სხვა).

2. წაიკითხე მათი ბიოგრაფიები და აღნიშნე, რითი ჰგვანან ისინი ერთმანეთს.

რევაზ ინანიშვილი

(1926 წ. 20 დეკემბერი — 1991 წ. 26 დეკემბერი)

დაიბადა საგარეჯოს რაიონში, სოფელ ხაშმში. ჯერ სოფლის სკოლაში სწავლობდა, შემდეგ თბილისში გადავიდა.

განსაკუთრებულად უყვარდა ბებია. "საცა ის იყო, მეც იქ ვიყავი, საცა მე, ბებიაც იქა. თუ ფეხზე იდგა, კალთაზე ვიყავი მიკრული, თუ იჯდა, კალთაში ვიჯექი. თუ ჟინჟღლავდა, რა თქმა უნდა, ზაფხულში, ბებია და მე ვისხედით აივანზე და გადავყურებდით ქვეყანას..." – წერდა ინანიშვილი.

წერა–კითხვა ბებიამ ასწავლა. ისხდნენ საღამოობით ღუმელთან, ბებია წინდას ქსოვდა, პატარა რეზო კი დამარცვლით კითხულობდა.

წერდა ფანქრით. ხატვაც ძალიან უყვარდა. ხატავდა პეიზაჟებს, თავისი მოთხრობების გმირებს.

ოტია იოსელიანი

(1930 წ. 16 ივნისი — 2011 წ. 14 ივლისი)

დაიბადა წყალტუბოში, სოფელ გვიშტიბში. ჯერ სოფლის სკოლაში სწავლობდა, მერე წყალტუბოში გადავიდა. 5-6-კილომეტრიან გზაზე ფეხით დადიოდა სკოლაში.

მწერალს ბებია განსაკუთრებით უყვარდა. "უმისოდ ერთი დღე არ მიცხოვრიაო," – წერდა ოტია. ანბანი ბებიამ ასწავლა და იმის მერე ნავთის ლამპრის შუქზე გვიანობამდე კითხულობდა ხოლმე.

ბავშვობაში ბევრს ხატავდა. უყვარდა ზღაპრების მოსმენა. ბებიას წყალობით, კარგად იცოდა ქართული ზღაპრები. "ზღაპრებს ყვებოდნენ ზამთარში ბუხართან, ზაფხულში – აივანზე..." შემდეგ თვითონ ყვებოდა ზღაპრებს. მერე ეს ზღაპრები უმცროსი შვილისთვის – დაჩისთვის დაწერა და ასე გაჩნდა "დაჩის ზღაპრები".

„თავიდან ყველაფერი ძნელია".

ოტია იოსელიანი

3. დააკვირდი სურათებს და დაალაგე თანამიმდევრულად (რა იყო ჯერ და რა — შემდეგ?). აღწერე თითოეული სურათი. მეწყვილესთან ერთად მოიფიქრე პატარა ამბავი და დაასათაურე.



გლეხი მიწას ხნავს.

პირველყოფილი ადამიანები

1. წაიკითხე ნაწყვეტები „დაჩის ზღაპრებიდან" და დააკავშირე სურათებთან. შეადარე დაჩის ზღაპარი შენს ამბავს.

დედამიწის ზღაპარი

(ოტია იოსელიანის მიხედვით)

1. იყო ცა, მიწა და ადამიანები. ადამიანებმა არაფერი იცოდნენ ჭამა–სმის გარდა. ჭამდა და ჭამდა ადამიანი, რასაც იშოვიდა, გაკეთებით კი არაფერს აკეთებდა. ერთ დღესაც საჭმელი გამოელიათ. ბალახის ჭამა დაიწყეს, მაგრამ არ მოეწონათ. მიწას ფეხებით სცემდნენ – საჭმელი გვინდაო.

ეწყინა მიწას: ეს რა ხალხია, ჩემს ზურგზე დადიან, ჩემს გაზრდილ ხის ნაყოფსა და ბალახს ჭამენ და კიდევ მე მცემენო. გაიბერა ბურთივით, გაიბერა და... სწორი ზედაპირი ამობურცა – მთები და მაღალი მწვერვალები გააჩინა.

2. - რა ვქნათ, მწვერვალები და კლდეები შევჭამოთო? – იკითხეს ადამიანებმა.

- რა და, ხელი გაანძრიეთ, საქმე გააკეთეთო, – უპასუხა მიწამ.

ადამიანებმა ჯერ ხელით დაიწყეს მიწის თხრა, შემდეგ ხარი და ძროხა შეაბეს გუთანში. მერე ტრაქტორის გაკეთებაც ისწავლეს. აცხობდნენ ხაჭაპურებს და ჭამდნენ.

3. ადამიანებმა საჭმლის გამო ჩხუბი დაიწყეს. სცემდნენ და ხოცავდნენ ერთმანეთს. მწვერვალებს გული ეტკინათ ადამიანებზე და დედამიწის ცრემლი თავზე გაეყინათ – ჩამოათოვათ, გაჭაღარავდნენ. მანამდე დედამიწა მწვანე – ახალგაზრდა იყო.

4. ადამიანები გამოქვაბულებიდან გამოვიდნენ და სახლები ააშენეს. ეზოებს ღობეები შემოავლეს და ფიქრი და ოცნება დაიწყეს.

- ისე გავსუქდით, ეს ადგილი აღარ გვყოფნისო, – თქვა ზოგმა.
- ფრთები გვინდა და ცაში ავფრინდებითო, – თქვეს სხვებმა.
- ცაში ავფრინდეთ რა, ტოროლები ვართო? – დააყარეს სიცილი იმ სხვებს.

5. მერე ისევ ერთმანეთს დასცხეს.

- რა მოგივიდათ, რა დაგემართათო! – ამოიოხრა ჭაღარა დედამიწამ.
- უნდა იმღეროთ, უნდა იმღეროთო! – დაიგუგუნეს მთებმა და ადამიანს სიმღერა ასწავლეს. ზოგმა ლექსების წერა დაიწყო, ზოგმა კი – ხატვა.

დასცხეს ხმაშეწყობილი სიმღერა. მერე თითის წვერებზე ჩამოუარეს, შიგადაშიგ ფეხის გასმაც კი დაიწყეს, იქნებ მიწას შეეხიცინოს და გაეცინოსო.

- შენ უბრალო მიწა კი არა, დედა ხარ ჩვენი! ისეთი სიკეთე გაგვიკეთე, დედამიწა უნდა დაგიძახოთო, – თქვეს ადამიანებმა.
- დედამიწაო, დედამიწაო! – გაიხარეს მთებმა და მწვერვალებმა.

2. გამოიყენე ქვემოთ მოცემული შეკითხვები და ჩამოართვი ინტერვიუ მეწყვილეს. ჩაინიშნე მისი პასუხები ფურცელზე და დაწერე მის შესახებ რვეულში.

როგორი ბავშვი იყავი პირველ კლასში?

რა გაინტერესებდა ყველაზე მეტად?

რაზე დადიოდი, როცა ... წლის იყავი?

რისი გაკეთება გიყვარდა ყველაზე ძალიან?

სად ისვენებდი ზაფხულობით?

რითი ერთობოდი იქ?

3. მოძებნე ტექსტში <u>შეცდომები</u> და დაასახელე. სწორად გადაწერე ტექსტი რვეულში და წაიკითხე.

დღევანდელი სპილოს წინაპარს მამონტი ერქვა. მამონტები აფრიკის ჭაობებში ბინადრობენ და რბილი მცენარეებით იკვებებიან. მამონტები დროის დიდ ნაწილს წყალში ატარებენ.
მამონტებს პატარა ყურები, გრძელი ხორთუმი, დიდი და მრგვალი ეშვები აქვთ. სპილოებს კი გრძელი ხორთუმი, უზარმაზარი ყურები და სწორი ეშვები ჰქონდათ.

4. ტექსტის მიხედვით, დაასახელე სწორი პასუხი. <u>„წინაპრები"</u> არიან:

ა. მეგობრები
ბ. ნაცნობები
გ. ნათესავები

5. უპასუხე შეკითხვებს.

1. რა არის მამონტი?
2. სად ბინადრობდნენ მამონტები?
3. რითი იკვებებოდნენ ისინი?
4. რა ჰქონდათ მამონტებს დიდი და მრგვალი?
5. როგორი ეშვები აქვთ სპილოებს?
6. რითი ჰგვანან მამონტები და სპილოები ერთმანეთს და რითი განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან?

11 დაასახელე, რომელია დედამიწის ყველაზე: ცივი ადგილი, დიდი კონტინენტი, ცხელი კონტინენტი, დიდი კუნძული?

12 ისაუბრე №10 ფოტოს შესახებ.

13 როგორ ხვდებიან ახალ წელს შენს ოჯახში?

14 ისაუბრე №6 ფოტოს შესახებ.

15 დაასახელე მათი მსგავსი სიტყვები: გულიანი, ზანტი, ხალისიანი, ავი.

16 ისაუბრე №5 ფოტოს შესახებ.

17 რატომ ჰქვია ასე? თეთრი ზღვა, შავი ზღვა, წითელი ზღვა, ყვითელი ზღვა.

18 გაიხსენე შენი პატარაობა: როგორი იყავი, რა გიყვარდა და რა გაინტერესებდა; რაზე დადიოდი და რითი ერთობოდი.

19 ისაუბრე №8 ფოტოს შესახებ.

20 ისაუბრე №9 ფოტოს შესახებ.

21 ისაუბრე №4 ფოტოს შესახებ.

22 რა იცი ჩიჩილაკისა და ნაძვის ხის შესახებ?

7

6

9

8

11

10

1 დაასახელე შენი პირადი მონაცემები.

2 ისაუბრე №2 ფოტოს შესახებ.

3 უპასუხე კლასელების შეკითხვებს შენი საუკეთესო მეგობრის შესახებ.

4 უპასუხე კლასელების შეკითხვებს შენი ოჯახის წევრებისა და ნათესავების შესახებ.

5 ისაუბრე №11 ფოტოს შესახებ.

6 აღწერე და დაახასიათე შენი თავი. თქვი, ვის ჰგავხარ და რითი.

7 ისაუბრე №7 ფოტოს შესახებ.

8 დაასახელე: 1675, 1947, 2009, 2037

9 ისაუბრე №3 ფოტოს შესახებ.

10 დაასახელე მათი საპირისპირო სიტყვები: მხიარული, ხმაურიანი, შრომისმოყვარე.

23 ისაუბრე №1 ფოტოს შესახებ.

24 წაიკითხე ქართული ლექსი.

1

2

3

4



5

გრამატიკული გზამკვლევი

კითხვითი სიტყვები

კონკრეტული ინფორმაციის მისაღებად ვსვამთ კითხვას. ამისათვის ვიყენებთ კითხვით სიტყვებს, მაგალითად:

- **ვინ? / რა?** — მიუთითებს საგანს/ადამიანს (ვინ? — დაესმის მარტო ადამიანს;
  რა? — ადამიანის გარდა – ყველაფერს);
- **რამდენი?** — მიუთითებს რაოდენობას;
- **როდის?** — მიუთითებს დროს;
- **როგორი?** — ახასიათებს სახელს;
- **რატომ?** — მიუთითებს მიზეზს.

ვინ	არის ცხოვრობს კითხულობს	ეს? აქ? წიგნს?
რა	არის ჰქვია უყვარს	ეს? მას? შენს ძმას?
რამდენი	წლის არის ძმა გყავს სკამია	შენი და? შენ? ოთახში?
როდის	იღვიძებს გაქვს მიდიხარ	შენი და? ქართული? სკოლაში?
როგორი	ჩანთა აქვს ჩიტი ზის ბიჭია	დათოს? ხეზე? შენი მეზობელი?
რატომ	ტირის არ იყავი არ ჭამ	შენი და? სკოლაში? საჭმელს?

- **სად?** — 1. მიუთითებს ადგილს;
  2. მიუთითებს მიმართულებას.
- **საით?** — მიუთითებს მოქმედების მიმართულებას.
- **საიდან?** — 1. მიუთითებს ადგილს;
  2. მიუთითებს წარმომავლობას.
- **საიდან სად/სადამდე?** — მიუთითებს მიმართულებას საწყისი პუნქტიდან საბოლოო პუნქტამდე.

სად	არის მიდის ცხოვრობს	გია? ის ბიჭი? ბიძაშენი?
საით	მიდის	ავტობუსი?
საიდან	არის გამოდის	შენი მეგობარი? ავტობუსი?

სახელის მრავლობითობა

1. სიტყვას მრავლობითში ემატება **–ები.**
   ა. თუ სიტყვა **–ო**–ზე, **–უ**-ზე და **–ე**–ზე მთავრდება, მრავლობითში მათ უბრალოდ დაემატება **–ები.**
   ბ. თუ სიტყვა **–ი**-ზე და **–ა**–ზე მთავრდება, **–ები**–ს წინ ეს **–ი** და **–ა** აღარ გვექნება.

მხოლობითი (ერთი)	-ი -ა (ბიჭი)... (მთა)...	-ო -უ -ე (სათამაშო)... (ბუ)... (ხე)...
მრავლობითი (ორი და მეტი) (-ებ-ი)	ბიჭ-ები მთ-ები	სათამაშო-ები ბუ-ები ხე-ები

2. გარკვეულ სიტყვებს შიგნით აქვს: **–ალ– / –ელ– / –ოლ– / –ან– / –ენ– / –ონ– / –ამ–/ –არ– / –ერ**–მარცვალი. ასეთი სიტყვების დიდი ნაწილი მრავლობითში ამ მარცვლიდან კარგავს ხმოვანს.

-ალ- -ელ- -ოლ-

მწერალი —მწერლ-ები
სოფელი — სოფლ-ები
ფოთოლი — ფოთლ-ები

-არ- -ერ- -ამ-

მხატვარი — მხატვრ-ები
ბოკვერი — ბოკვრ-ები
კალამი — კალმ-ები

-ან- -ენ- -ონ-

მოედანი — მოედნ-ები
ყურძენი — ყურძნ-ები
საპონი — საპნ-ები

დაიმახსოვრე!

-ორ-

პამიდორი — პამიდვრ-ები
მინდორი — მინდვრ-ები

3. ზოგიერთი სიტყვა მრავლობითში კარგავს ერთდროულად ორ ხმოვანს — ერთს შუაში, მეორეს კი – ბოლოში.

პეპელა – პეპლები
ქვეყანა – ქვეყნები
ფანჯარა – ფანჯრები

ნაცვალსახელი

არის სიტყვები, რომლებიც სახელის ნაცვლად იხმარება. ამ სიტყვებს ნაცვალსახელები ჰქვია:

ლია სკოლაში სწავლობს. ის სკოლაში სწავლობს.
ბიჭები ფეხბურთს თამაშობენ. ისინი ფეხბურთს თამაშობენ.

	პირის	**კუთვნილებითი**	
მე მქვია გია.	მე	ჩემი	ია **ჩემი** დაა.
შენ რა გქვია?	შენ	შენი	**შენი** ძმა სახლშია?
ის არის გია?	ის	მისი	ეს **მისი** ჩანთაა.
ჩვენ ვართ სახლში.	ჩვენ	ჩვენი	**ჩვენი** სახლი აქ არის.
თქვენ სად ხართ?	თქვენ	თქვენი	ეს **თქვენი** სკოლაა?
ისინი აქ არიან.	ისინი	მათი	ეს **მათი** ბებიაა.

რიცხვითი სახელი

სახელი შეიძლება იყოს ერთი, ორი, ათი, ასი და ა.შ.

- რამდენია, ამას მიუთითებს რაოდენობითი რიცხვითი სახელი. ის აკონკრეტებს რაოდენობას — **რამდენი**?

  კლასში <u>ოცი</u> მოსწავლეა.
  მე <u>სამი</u> ძმა მყავს.
  ჩემი ძმა <u>ათი</u> წლისაა.

- გარკვეული სიმრავლიდან (რაოდენობიდან) აკონკრეტებს, მერამდენეა — **მერამდენე**?

  მე სამი ძმა მყავს. მესამე ჩემზე პატარაა.
  დათო მეხუთე კლასში სწავლობს.
  მე მესამე სართულზე ვცხოვრობ.

რამდენი?	**მერამდენე?**
ერთი	პირველი
ორი...	მე-ორ-ე
ოცდახუთი...	ოცდა-მე-ხუთ-ე...

დაიმახსოვრე!

ერთად იწერება:

ყველა რიცხვითი სახელი ერთიდან ასის ჩათვლით; აგრეთვე: ორასი, სამასი... ათასი

ცალკე სიტყვებად იწერება:

ყველა დანარჩენი რიცხვითი სახელი: ას თხუთმეტი, ორი ათასი, ათას ცხრაას სამოცდახუთი...

ზედსართავი სახელი

არის სიტყვები, რომლებიც აღწერენ და ახასიათებენ სახელს — როგორია? რომელია? სადაურია?

სპილო უზარმაზარი ცხოველია. (როგორი ცხოველი?)
ნანას გრძელი თმა და ცისფერი თვალები აქვს. (როგორი თმა/თვალები?)
მე ეს მანქანა მომწონს. (რომელი მანქანა?)
ჩემი საუკეთესო მეგობარი თბილისელია. (როგორი მეგობარი? სადაური?)

ზოგი ზედსართავი სახელი მეტი ან ნაკლები ოდენობით გამოხატავს გარკვეულ თვისებას.

ეს ჩანთა დიდია, ეს ჩანთა მოდიდოა (ნაკლებად დიდი), ის ჩანთა კი უდიდესია (ყველაზე დიდია).

ოდნავ ↓		ძალიან ↓
მო-წითალ-ო ←	წითელი	→ უ-წითელ-ესი
მო-ლურჯ-**ო**	ლურჯი	**უ**-ლურჯ-**ესი**
მო-მწვან-**ო**	მწვანე	**უ**-მწვან-**ესი**
მო-ცისფრ-**ო**	ცისფერი	**უ**-ცისფრ-**ესი**
მო-დიდ-**ო**	დიდი	**უ**-დიდ-**ესი**
მო-მაღლ-**ო**	მაღალი	**უ**-მაღლ-**ესი**
მო-ჭკვიან-**ო**	ჭკვიანი	**უ**-ჭკვიან-**ესი...**

დაიმახსოვრე!

პატარა —	მოპატარავო —	უპატარავესი
სქელი —	მოსქო —	უსქესი
ტკბილი —	მოტკბო —	უტკბესი
გრძელი —	მოგრძო —	უგრძესი
მოკლე –	---------- –	უმოკლესი
კარგი —	---------- —	უკეთესი
ცუდი —	---------- —	უარესი

ზმნა

1. გამოხატავს **მოქმედებას**: <u>რას აკეთებს?</u>
   - ბიჭი <u>თამაშობს</u> ფეხბურთს.
   - ის <u>მიდის</u> სკოლაში.
   - ლია <u>ირუჯება</u> მზეზე...

2. გამოხატავს **მდგომარეობას:**
   - ის <u>ზის</u>, მე <u>ვდგავარ.</u>
   - ბებია <u>წევს</u>.
   - ბავშვები სკოლაში <u>არიან...</u>

3. გამოხატავს **გრძნობას, სულიერ მდგომარეობას:**
   - მე მამლის <u>მეშინია.</u>
   - ჩემს ძმას <u>უყვარს</u> ხატვა.
   - დათოს სპორტი <u>აინტერესებს...</u>

4. გამოხატავს ვინმეს ან რაიმეს **ქონას/ყოლას:**
   - მე ორი ძმა <u>მყავს.</u>
   - ჩემს ძმას ველოსიპედი <u>აქვს.</u>
   - მამაჩემს ახალი მანქანა <u>ჰყავს...</u>

მოქმედების შემსრულებელი პირი

<u>მოქმედების შემსრულებელი პირია</u> ის, ვინც მოქმედებს:

მე ვხატავ, ვერთობი, ვდგავარ... მიყვარს, მაქვს, მყავს...
შენ ხატავ, ერთობი, დგახარ... გიყვარს, გაქვს, გყავს...
ის ხატავს, ერთობა, დგას... მას უყვარს, აქვს, ჰყავს...
ჩვენ ვხატავთ, ვერთობით, ვდგავართ... გვიყვარს, გვაქვს, გვყავს...
თქვენ ხატავთ, ერთობით, დგახართ... გიყვართ, გაქვთ, გყავთ...
ისინი ხატავენ, ერთობიან, დგანან... მათ უყვართ, აქვთ, ჰყავთ...

მოქმედების შემსრულებელ პირს სხვადასხვა ზმნაში სხვადასხვა ნიშანი აქვს. ამ მხრივ, ყველა ზმნა ქართულში ორ ჯგუფად ერთიანდება:

1. პირველ ჯგუფში არიან ზმნები, რომლებიც გამოხატავენ **გრძნობას, სულიერ მდგომარეობას** და **ქონა/ყოლას** *(მაქვს, მყავს, მომწონს, მიყვარს, მეშინია...)*.

2. მეორე ჯგუფში არიან **მოქმედებისა** და **მდგომარეობის** გამომხატველი ზმნები *(ვწერ, ვხატავ, ვირუჯები, ვერთობი, ვარ, ვდგავარ, ვზივარ...)*.

დააკვირდი!

I ტიპი (მანიანი) → მყავს, მაქვს, მიყვარს, მაინტერესებს...

II ტიპი (ვინიანი) → ვწერ, ვხატავ, მივდივარ, ვირუჯები...

დაიმახსოვრე!

1. თუ მე მყავს, მიყვარს, მომწონს, მაინტერესებს..., მაშინ მესამე პირში აუცილებლად იქნება მას ჰყავს, უყვარს, მოსწონს, აინტერესებს..)

2. თუ მე ვწერ, ვხატავ, ვთამაშობ, ვერთობი, ვდგავარ..., მაშინ მესამე პირში აუცილებლად იქნება ის წერს, ხატავს, თამაშობს, ერთობა, დგას...

ზმნის დრო

ზოგი მოქმედება ახლა ხდება – თქმის დროს, ზოგი უკვე მოხდა – თქმამდე და ზოგიც მერე მოხდება – თქმის შემდეგ.

- თუ მოქმედება ახლა ხდება, ეს **ახლანდელი დროა**. <u>რას აკეთებს</u>?
  ახლა დათო წერს. ის ახლა სკოლაში მიდის...
- თუ მოქმედება უკვე მოხდა, ეს **წარსული დროა**. <u>რა გააკეთა</u>?
  დათომ გუშინ დაწერა. ის გუშინ წავიდა სკოლაში...
- თუ მოქმედება მერე მოხდება, ეს **მომავალი დროა**. <u>რას გააკეთებს</u>?
  დათო ხვალ დაწერს. ის ხვალ წავა სკოლაში...

წარსული დრო	ახლანდელი დრო	მომავალი დრო
წინათ ადრე გუშინ უკვე ერთი საათის წინ შარშან...	ახლა დღეს ამ წუთას	მერე ხვალ შემდეგ ერთი საათის შემდეგ მომავალ წელს გაისად...

წარსული დრო

წარსულში შესრულებული მოქმედება ორგვარად გამოიხატება. ეს ნიშნავს, რომ არის წარსულის ორი ფორმა:

1. წყვეტილი – **<u>რას აკეთებდა ის</u>** გუშინ/ერთი საათის წინ...?

2. უწყვეტელი – **<u>რა გააკეთა მან</u>** გუშინ/ორ საათზე...?

დაიმახსოვრე!

1. თუ მოქმედება დასრულებულია, ვიყენებთ **<u>წყვეტილის</u>** ფორმას.

<u>დათომ დავალება უკვე დაწერა.</u>
ის ჯერ ზღვაში <u>ჩავიდა</u> და შემდეგ <u>გაირუჯა</u> მზეზე.

2. თუ მოქმედება არ არის დასრულებული, ვიყენებთ **<u>უწყვეტელს</u>**.

<u>დათო მთელი დღე წერდა</u> დავალებას.
ის ყოველთვის ასე <u>აკეთებდა</u>: ჯერ ზღვაში <u>ჩადიოდა</u> და შემდეგ <u>ირუჯებოდა</u> მზეზე.

დააკვირდი !

<u>მე ყოველთვის ვკითხულობდი</u> წიგნებს.

~~მე ყოველთვის წავიკითხე~~ წიგნები.

დაიმახსოვრე !

ხანდახან
დროდადრო
იშვიათად
ზოგჯერ
ხშირად
ყოველთვის
მუდამ

} + უწყვეტელი

ზმნისწინი

ზმნას წინ აქვს მარცვალი, რომელიც მიმართულებას უჩვენებს.
ეს მარცვალი არის ზმნისწინი.



მოქმედების მიმართულებას განსაზღვრავს პირველი პირი – მე.



აქვს თუ ჰყავს?

- თუ სულიერია (ცოცხალია), ვამბობთ – **ჰყავს.**
  მე მყავს ერთი ძმა.
  ჩემს ბიძაშვილს ჰყავს *თუთიყუში.*
  სოფელში გვყავს *ცხენი.*

- თუ უსულოა (არ არის ცოცხალი), ვამბობთ – **აქვს**.
  მე პატარა და ლამაზი *სახლი* მაქვს.
  რეზოს ფეხბურთის *ბურთი* აქვს.
  შენ გაქვს ფერადი *ფანქრები?*

დაიმახსოვრე!

ტრანსპორტზეც ვამბობთ – **ჰყავს.**
ჩემს ძმას ველოსიპედი ჰყავს.
მამაჩემს პატარა მანქანა ჰყავს.
მაგრამ:
მე ახალი სათამაშო მანქანა მაქვს.

თავისებური ზმნები

ზოგიერთ ზმნას მრავლობით რიცხვში სხვა სიტყვა (ფორმა) ენაცვლება.

მხოლობითი რიცხვი	**მრავლობითი რიცხვი**
დევს	აწყვია
დებს	აწყობს
აგდებს	ყრის
ზის	სხედან

1. მაგიდაზე წიგნი დევს. მაგიდაზე წიგნები აწყვია.
2. დედა მაგიდაზე თეფშს დებს. დედა მაგიდაზე თეფშებს აწყობს.
3. კაცი ქაღალდს აგდებს. კაცი ქაღალდებს ყრის.
4. ბიჭი ზის მაგიდასთან. ბიჭები სხედან მაგიდასთან.

შედარება

ადამიანი (ან საგანი) შეიძლება იყოს:

1. ვიღაცის (ან რაღაცის) მსგავსი.

წყალი ყინულივით ცივია.
ზაზა ნიკასავით პატარაა.
ნიკა ჩემსავით (ჩემნაირად) წერს.

2. მასზე შედარებით მეტი ან ნაკლები.

ზაზა ნიკაზე (უფრო) მაღალია. / ზაზა ნიკასთან შედარებით მაღალია.
მარწყვი ვაშლზე (უფრო) ტკბილია. / მარწყვი ვაშლთან შედარებით ტკბილია.
ნიკა ჩემზე (უფრო) კარგად წერს. / ნიკა ჩემთან შედარებით კარგად წერს.
ჩემი ძმა ჩემზე პატარაა. / ჩემი ძმა ჩემთან შედარებით პატარაა.
ნიკა ჩემზე ცუდად წერს. / ნიკა ჩემთან შედარებით ცუდად წერს.

მისალმება, დამშვიდობება, მოკითხვა

მისალმება

გაგიმარჯოს! — შენ

გაგიმარჯოთ! — თქვენ
- I. მრავლობითი
- II. თავაზიანი

დამშვიდობება

ნახვამდის
კარგად იყავი
კარგად

ნახვამდის
კარგად იყავით

ნახვამდის
კარგად ბრძანდებოდეთ!

მოკითხვა

როგორ ხარ?

როგორ ხართ?

როგორ ბრძანდებით?

ორიენტაცია დროში

როდის?

საათი	დღე-ღამის მონაკვეთები	კვირის დღეები	წელიწადის დროები	დროის ინტერვალები	
ორ საათ**ზე** ორის ნახევარ**ზე**	დილ**ით** შუადღ**ისას** საღამო**ს** ღამ**ით** შუაღამ**ისას**	ორშაბათ**ს**...	გაზაფხულ**ზე** ზაფხულ**ში** შემოდგომ**ით/ზე** ზამთარ**ში**	გუშინწინ გუშინ დღეს ხვალ ზეგ	შარშანწინ შარშან წელს მომავალ წელს გაისად

სიხშირის განსაზღვრა დროში

1. როდიდან – როდემდე?

- გაზაფხულ**იდან** გაზაფხულ**ამდე**
- ორშაბათ**იდან** ორშაბათ**ამდე**
- პირველ**იდან** ორ**ამდე**
- დილ**იდან** საღამო**მდე**

2. რა ინტენსივობით? / რა სიხშირით?

ხანდახან იშვიათად ხშირად ყოველთვის არასოდეს	დიდი ხანია ცოტა ხანია ერთი წელია ერთი საათია ერთი თვეა მთელი დღეა	ყოველდღე ყოველთვე ყოველ წელს ყოველკვირა ყოველ ორშაბათს ყოველ აგვისტოს ყოველ ზამთარს

ორიენტაცია სივრცეში

მოქმედების ადგილი და **მიმართულება**

საით?	საითკენ? საიდან? სადამდე?
აქ–იქ; წინ–უკან; მარჯვნივ–მარცხნივ; მაღლა–დაბლა; პირდაპირ; გვერდით; ახლოს/შორს...	აქეთ–იქით;
სახლ**ში** ზღვა**ზე** ტყეს**თან...**	თბილისის**კენ** თბილისის **მიმართულებით** თბილის**იდან** თბილის**ამდე**

I ტიპის ზმნები ახლანდელ დროში

მე	მყავს	ჩვენ	გვყავს
შენ	გყავს	თქვენ	გყავთ
მას	ჰყავს	მათ	ჰყავთ
(ბიჭს)		(ბიჭებს)	

მე	მიყვარს	ჩვენ	გვიყვარს
შენ	გიყვარს	თქვენ	გიყვართ
მას	უყვარს	მათ	უყვართ
(გოგოს)		(გოგოებს)	

II ტიპის ზმნები ახლანდელ დროში

მე	ვხატავ	ჩვენ	ვხატავთ
შენ	ხატავ	თქვენ	ხატავთ
ის	ხატავს	ისინი	ხატავენ
(ბიჭი)		(ბიჭები)	

მე	ვერთობი	ჩვენ	ვერთობით
შენ	ერთობი	თქვენ	ერთობით
ის	ერთობა	ისინი	ერთობიან
(გოგო)		(გოგოები)	

II ტიპის ზმნები წარსულ დროში (წყვეტილში)

მე	დავხატე	ჩვენ	დავხატეთ
შენ	დახატე	თქვენ	დახატეთ
მან	დახატა	მათ	დახატეს
(ბიჭმა)		(ბიჭებმა)	

მე	გავერთე	ჩვენ	გავერთეთ
შენ	გაერთე	თქვენ	გაერთეთ
ის	გაერთო	ისინი	გაერთნენ
(გოგო)		(გოგოები)	

II ტიპის ზმნები წარსულ დროში (უწყვეტელში)

მე	ვხატავდი	ჩვენ	ვხატავდით
შენ	ხატავდი	თქვენ	ხატავდით
ის	ხატავდა	ისინი	ხატავდნენ
(ბიჭი)		(ბიჭები)	

მე	ვერთობოდი	ჩვენ	ვერთობოდით
შენ	ერთობოდი	თქვენ	ერთობოდით
ის	ერთობოდა	ისინი	ერთობოდნენ
(გოგო)		(გოგოები)	

დამატებითი საკითხავი

ახალი წელი და საახალწლო ტრადიციები

საახალწლო საჩუქრები და მისალოცი ბარათები

1. საახალწლო მისალოცი ბარათების ტრადიცია ინგლისში წარმოიშვა. პირველი ბარათი ინგლისში 1843 წელს დაიბეჭდა. საახალწლო საჩუქარს ინგლისელები განსაკუთრებულ დღეს ჩუქნიან - 28 დეკემბერს. ვის რომელი საჩუქარი შეხვდება, ამას ქუდში ჩაყრილი წარწერიანი ქაღალდების მიხედვით არკვევენ.

2. ბულგარეთში ახალი წლის დაწყებამდე ოჯახის ყველაზე პატარა წევრი დგება ნაძვის ხესთან და მღერის დანარჩენებისათვის. მადლიერების ნიშნად, უფროსები მას საჩუქრებს ჩუქნიან.

3. ავსტრიაში ერთმანეთს საახალწლო ფიგურებსა და მისალოც ღია ბარათებს ჩუქნიან.

4. სამხრეთ ინდოეთში დედები ტკბილეულს, ყვავილებსა და საჩუქრებს პატარა ლანგარზე აწყობენ. ახალი წლის დილას კი შვილები თვალდახუჭული ელოდებიან, როდის მიიყვანენ მათ ლანგართან.

5. ებრაელები ბავშვებს ახალ სამოსს ჩუქნიან.

6. საბერძნეთში ახალ წელს ბერძენი ბავშვები ყელიან ფეხსაცმელებს ბუხართან ტოვებენ, რომ სანტამ ისინი საჩუქრებით აავსოს.

7. ჰოლანდიაში ახალი წლის ღამეს ბავშვები ხის ფეხსაცმელში სტაფილოსა და თივას დებენ, მეორე დილით იქ საყვარელი ნამცხვარი რომ იპოვონ.

როგორ ხვდებიან ახალ წელს მსოფლიოში

1. ბრაზილიელები ქვიშიან პლაჟზე უამრავ სანთელს ანთებენ. თეთრ კაბებში გამოწყობილი ქალები წყალში შედიან და ოკეანეში ყვავილის ფურცლებს ყრიან.

2. იტალიელები ძველ ნივთებს ყრიან და დღესასწაულზე ახალს ყიდულობენ.

3. ესპანელები ქალაქის ცენტრალურ მოედანზე იკრიბებიან და ნაძვის ხესთან ყურძენს მიირთმევენ.

4. ამერიკელები კი ყურძნის ნაცვლად მუქ ბარდას მიირთმევენ. შემდეგ ცენტრალურ მოედანზე იკრიბებიან და ერთმანეთს ულოცავენ.

5. იაპონელები ახალ წელს სიცილით ხვდებიან. შემდეგ ქუჩაში გამოდიან შეღებილები და მორთულები. მათთან ძალიან პოპულარულია ნიღბები. იაპონელებს განსაკუთრებით მოსწონთ ლომის ნიღაბი.

6. ჩინეთში ახალ წელს ყველა წითელი, ანთებული ფარნებით და ხმაურით ხვდება.

7. საბერძნეთში ზუსტად 12 საათზე ოჯახის უფროსი ეზოში გადის და კედელს ბროწეულს ესვრის. თუ ბროწეულის მარცვლები მთელ ეზოში მიმოიფანტება, მაშინ, მათი აზრით, ახალ წელს ოჯახი ბედნიერად გაატარებს.

8. ცენტრალურ ინდოეთში შენობებზე გამოფენენ ფორთოხლისფერ დროშებს. ჩრდილოეთ ინდოეთში კი ახალ წელს სახლების სახურავებზე პატარა კოცონებს ანთებენ.

თოვლის პაპა სხვადასხვა ქვეყანაში

1. ფინეთში თოვლის პაპას იოულუპკის ეძახიან. ფინელ თოვლის პაპას მაღალი, კონუსის ფორმის ქუდი ახურავს, გრძელი თმა აქვს და წითელი ტანსაცმელი აცვია.

2. ესტონეთში თოვლის პაპას იულუვანა ჰქვია და იგი ძალიან ჰგავს თავის ფინელ ნათესავს.

3. შვედეთში ერთდროულად ორი თოვლის პაპა ჰყავთ – გიგანტური იულომტენი და ჯუჯა იულნისსაარი. ახალ წელს ორივე ერთად მიდის სახლებში და საჩუქრებს ფანჯრის რაფებზე ტოვებს.

4. საფრანგეთშიც ორი თოვლის პაპა ჰყავთ, ერთს პერ-ნოელი ჰქვია. ის კეთილია და ბავშვებისთვის საჩუქრებით სავსე კალათები მიაქვს. მეორეს კი პერ-შალანდს ეძახიან. ამ წვერიან მოხუცს ბეწვის ქუდი ახურავს და ძვირფასი ქურქი აცვია. მას ტკბილეულის ნაცვლად ზარმაცი და გაუგონარი ბავშვებისთვის წკეპლები მიაქვს.

5. იტალიაში ბავშვებთან მოხუცი ბებია ბეფინა მიდის. ახალი წლის ღამეს ის ბუხრის მილიდან ჩადის სახლებში და კარგი ბავშვებისათვის საჩუქრები მიაქვს.

6. მონღოლეთში თოვლის პაპა ძალიან ჰგავს მწყემსს, რომელსაც ხელში გრძელი შოლტი უჭირავს.

საქართველოში

1. საქართველოში **800-ზე მეტი** ტბა და **26 ათასზე მეტი** მდინარეა.

2. ყველაზე დიდია ტბა ფარავანი, რომელიც სამცხე–ჯავახეთში მდებარეობს.

3. ყველაზე ღრმა არის რიწის ტბა აფხაზეთში. მისი სიღრმე 101 მეტრია. რიწის ტბა გაზაფხულზე მომწვანო ფერისაა, ზამთარში კი – მოცისფრო-მოლურჯო.

4. ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარეობს ყელის ტბა. ის ახალგორის რაიონშია. ის ერთ–ერთი ყველაზე ცივი ტბაა საქართველოში. 7-8 თვის განმავლობაში სულ ყინულით იფარება. ყინული მხოლოდ შუა ზაფხულში დნება. ყელის ტბიდან იღებს სათავეს მდინარე ქსანი.

5. უმაღლესი მწვერვალია შხარა. მისი სიმაღლე 5.068 მეტრია.

6. ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ჩანჩქერია შდგრა, რომელიც მწვერვალ უშბის კალთაზე, ზღვის დონიდან 2200 მეტრზე მდებარეობს. შდგრა, დაახლოებით, 120 მეტრის სიმაღლიდან ვარდება.

უცნაური და საინტერესო მოვლენები

ნიაგარის ჩანჩქერი სამი ჩანჩქერისაგან შედგება. ის მდებარეობს აშშ–სა და კანადის საზღვარზე. მისი გრუხუნის ხმა 300 კილომეტრზე ისმის. ამიტომაც მას « მგრგვინავ წყალს » უწოდებენ.

1848 წლის 29 მარტს ამ ჩანჩქერზე ერთ–ერთი ყველაზე უცნაური მოვლენა მოხდა – ნიაგარის ჩანჩქერი გაჩერდა. ეს გამოიწვია იმ დღეს არსებულმა ძლიერმა ქარმა, რომელმაც ერის ტბაში მყოფი ყინული დაძრა. ყინული ტბიდან მდინარე ნიაგარაზე გადავიდა და მდინარე გადაკეტა. ეს მოვლენა დაახლოებით 30 საათს გაგრძელდა.

როგორ წარმოიქმნება წვიმა?

ზაფხულის პაპანაქება სიცხეში დედამიწა ცხელდება. ამ დროს ზღვებში, მდინარეებსა თუ ტბებში წყალი თბება. გამთბარი და მსუბუქი ჰაერი ცაში ადის, გზაში ცივ ღრუბლებს ხვდება და ზედ ეკვრება. თბილი ჰაერი ჯერ წვეთებად იქცევა, შემდეგ კი იყინება და ეს გაყინული კრისტალები ქვემოთ ეშვება. გზაში თბილ ჰაერს ეჯახება, დნება, ისევ წყლის წვეთებად გადაიქცევა და მიწაზე წვიმის სახით ეცემა.

სად და როგორ ჩნდება თოვლი?

თოვლი უამრავი ლამაზი ფანტელია. ფანტელები ზეციდან ცვივა და მწვერვალებზე, მთებზე, ხეებსა და მიწაზე ეცემა. თოვლის ფანტელები, წვიმის წვეთების მსგავსად, ღრუბლებისაგან წარმოიქმნება.

სიცხეში დედამიწა ცხელდება. ამ დროს ზღვებში, მდინარეებსა თუ ტბებში წყალი თბება. გამთბარი ჰაერი ცაში ადის და გზაში ცივ ღრუბლებს ხვდება. თბილი ჰაერი ჯერ წყლის წვეთებად იქცევა, შემდეგ იყინება და ეს გაყინული კრისტალები ისევ ქვემოთ ეშვება. გზაში ეს კრისტალები იზრდება, იზრდება და ბოლოს ლამაზ ვარსკვლავებად იქცევა. ბოლოს ეს ლამაზი ვარსკვლავები - ფანტელები - ნელ-ნელა ეშვებიან დედამიწაზე.

იცით თუ არა, რომ...

1. **კენგურუ** ჰქვია კუნძულსაც, რომელიც მდებარეობს ავსტრალიის სამხრეთ სანაპიროსთან.

2. არსებობს ხის კენგურუ. ის კენგურუს ოჯახში ერთადერთი სახეობაა, რომელიც ხეზე ცხოვრობს. ზომით 60 სმ-მდეა და აქვს ყავისფერი ბეწვი. მას დღისით სძინავს და საკვებისა და წყლის მოსაპოვებლად საღამოს ჩამოდის დაბლა. იკვებება ფოთლებითა და ლიანებით. მისი საყვარელი საკვებია ტყის ხილი.

3. **გიგანტური კენგურუ** მხოლოდ ავსტრალიაში ბინადრობს. ის სიგრძით 3 მეტრია და 80 კგ-ს იწონის.

4. **პინგვინი** "მსუქანს" ნიშნავს. ის ზღვის ფრინველია, მაგრამ ფრენა არ შეუძლია. პინგვინები, ძირითადად, ანტარქტიდაში არიან გავრცელებული, თუმცა სამხრეთ აფრიკაში, სამხრეთ ამერიკასა და ავსტრალიაშიც ბინადრობენ.

5. **მურა დათვი** გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში, სადაც იგი „გრიზლის" სახელითაა ცნობილი. ბინადრობს ტყეში, ბუნაგი აქვს ხის ქვეშ. ჭამს ყველაფერს. უყვარს კენკრა, პანტა და შინდი, ხის ფესვები, ღეროები. არც მწერებზე, ჭიებზე, თაგვებსა და ბაყაყებზე ამბობს უარს. ყველაზე ძალიან უყვარს თაფლი. საშუალოდ იწონის 500 კგ-ს. დარბის ძალიან სწრაფად, ძალიან კარგად ცურავს და ხეებზეც ოსტატურად დაცოცავს. შემოდგომაზე ბუნაგში წვება და ზამთრის ძილს ეძლევა. სძინავს 75-195 დღე.

6. **თეთრი დათვი** ბინადრობს ჩრდილოეთ პოლუსთან, ყინულეთში. ბუნაგს თხრის თოვლში. თეთრი დათვი დედამიწაზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი ცხოველია. სიგრძით 3 მეტრს აღწევს. ხანდახან ერთ ტონასაც იწონის. სხვა დათვებისაგან განსხვავებით, აქვს გრძელი კისერი და ბრტყელი თავი. აქვს თეთრი ბეწვი, რომელიც ზოგჯერ მზეზე ყვითლდება. თეთრ დათვს ბეწვი ფეხისგულებზეც აქვს, რომ ფეხი ყინულზე არ დაუსხლტეს. დარბის სწრაფად. ნადირობს სელაპსა და ლომვეშაპზე. თეთრი დათვი საუკეთესო მცურავი და მყვინთავია. წყალში იგი 20 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს, ხოლო წყალქვეშ ორი წუთის განმავლობაში ძლებს.

ლიას თუთიყუშის მონაყოლი

– ჩემო ლია, ადრე გემზე
მე ვცხოვრობდი გალიაში,
ხან ვიყავი მექსიკაში,
ხანაც პორტუგალიაში;

ვეცნობოდი იტალიას,
ავსტრალიას, ბრაზილიას,
– რატომ არ ვარ თუთიყუში?–
ახრჩობს გულში ბრაზი ლიას.

გურამ კობერიძე

ლუკას რუკა

მოუტანა მამამ ლუკას
საქართველოს დიდი რუკა.
უთხრა: რამდენიმე ფერით
აქ ხატია ყველაფერი.
დაიხსომებ, იოლია, –
თეთრად – კავკასიონია,
ლურჯი ფერით – შავი ზღვა და
ტბები, წყლები დაიხატა,
მწვანედ არის დაბლობები,
ყავისფერად — დიდი მთები,
ნითლად რომ ჩანს, ეგ ნრეები –
სოფლები და ქალაქები.
გადასნია თავი უკან
და უყურის რუკას ლუკა:
— ათასფერად მოხატულა
მინდორ–ველი, მთა და მდელო.
რუკაზეც კი ლამაზია
ეს პატარა საქართველო!

ვასილ გულეური

წერილი თოვლის ბაბუას

ჩემო თოვლის ბაბუა,
მენატრები ძალიან,
გავიგე, რომ ბავშვებთან
გულით მოგიხარია.
ისიც ვიცი, ხურჯინი
საჩუქრებით სავსე გაქვს,
ალბათ როგორ დაგღალა
მძიმე ტვირთის ტარებამ!
ჰოდა, თოვლის ბაბუა,
იცი, მე რას ვნატრულობ?
საახალწლოდ ეგ სავსე
ხურჯინი რომ მაჩუქო!

ლელა ბუსქირიძე

სიმღერა მამულზე

ჰაი, დილილმე, დილილმე,
მთა–ბარი შემოვირბინე...
მთაში წყარონი მღერიან,
ბარში მინდორი ბიბინებს.
წყაროსაც დავენაფები,
დავკრეფ ვარდებს და გვირილებს.
რა ლამაზი ხარ, მამულო,
შენი გამჩენის ჯირიმე!

ჯანსუღ ჩარკვიანი

თოვლის გუნდა და გოგონა

I. იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა თოვლის გუნდა. ის ძალიან შორს, ცხრა მთას იქით ყველაზე მაღალ მთაზე ცხოვრობდა. პატარა, მრგვალი, ძალიან სასაცილო და თან ძალიან მხიარული ვინმე იყო. გუნდას ძალიან უყვარდა თამაში, მაგრამ იქ თოვლის გარდა არავინ ცხოვრობდა. ამიტომ იჯდა მოწყენილი და თოვლიან მთებს უყურებდა.

II. ერთ დღეს თოვლის გუნდამ უჩვეულო ხმა გაიგონა. ჩაიხედა ქვემოთ და რას ხედავს?... ასეთი ლამაზი ფერები გუნდამ პირველად დაინახა.

- ეს რა არის? – დაინტერესდა თოვლის გუნდა. – მოდი, ჩავალ და ვნახავ, – გაიფიქრა და მთიდან დაეშვა. გუნდა პირდაპირ პატარა გოგონას ფეხებთან მიგორდა.

- ჭიტა! – გაუცინა გუნდამ გოგონას. გოგონა გაოცებული უყურებდა თავისი დიდი ცისფერი თვალებით პატარა თეთრ მრგვალ გუნდას. გუნდა გოგონასკენ წაბაჯბაჯდა. გოგონას შეეშინდა და უკან დაიხია.

- ეჰ, არც ამას უნდა ჩემთან თამაში, – მოიწყინა გუნდამ და თავი დახარა. გოგონას შეეცოდა პატარა კაცუნა და მოეფერა.

- გინდა, ჩემი მეგობარი იყავი! – უთხრა გოგონამ გუნდას.

- მეგობარი, მეგობარი... რა კარგია, მე მეგობარი ვარ! - გამხიარულდა გუნდა.

III. გუნდამ და გოგონამ თამაში დაიწყეს. ჯერ დახუჭობანა ითამაშეს, შემდეგ – დაჭერობანა, თან მხიარულ სიმღერას მღეროდნენ:

დახუჭობანა, დაჭერობანა,
დელია, დელია,
ამდენი რბენა, ამდენი დევნა,
ცოტათი ძნელია...

ბოლოს გოგონას სახლის აივანზე ავიდნენ და იქიდან საპნის ბუშტების გაშვება დაიწყეს. გაბერა გუნდამ წითელ-ყვითელი ბუშტები და გოგონასთან ერთად ცაში აფრინდა.

- ნახე, რა ლამაზია!

- შეხედე, რა მშვენიერია! – ეუბნებოდნენ ერთმანეთს. უცებ ჯერ ერთი ბუშტი გასკდა, შემდეგ – მეორე, მესამე და... გუნდა და გოგონა ფუმფულა ღრუბელზე დაეცნენ. ახლა ღრუბლით იფრინეს ცაში. ბოლოს ღრუბელი ნელ-ნელა დაეშვა გოგონას ეზოში.

IV. პატარა თოვლის გუნდას ძალიან დასცხა. მოიწყინა და ნელ-ნელა დნობა დაიწყო. გოგონა სახლში გაიქცა და ყინულები მოიტანა, მაგრამ სადღაა თოვლის გუნდა?! გავიდა ერთი დღე, ორი, სამი... თოვლის გუნდა კი არ ჩანდა.

V. ერთ დღესაც იჯდა გოგონა ფანჯრის რაფასთან დაღონებული და სევდიანი. უცებ წვიმა დაიწყო. გოგონამ ნაცნობი ხმა გაიგონა.

- ეს ხომ ჩემი გუნდაა, ჩემი გუნდა მღერის! – თვალები გაუბრწყინდა გოგონას, გუნდა კი არ ჩანდა. წვიმის წვეთები უფრო მხიარულად ამღერდნენ:

გუნდა ვიყავ ქათქათა,
ციდან გამოვიქეცი,
ვერ მიცანი? – კაპ, კაპ, კაპ, კაპ...
წვიმად გადავიქეცი!

გახარებულმა გოგონამ ხელები შეუშვირა წვიმის წვეთებს.

გუდა, გუდა, თეთრი გუნდა,
ხან წვიმა ვარ, ხანაც გუნდა,–

მღეროდა წვიმად გადაქცეული გუნდა და გოგონასთან ერთად ცეკვავდა.

ზამთრისპირის ბინდი

(რეზო ინანიშვილის მიხედვით)

- ახლა, იცი, რა მომიყევი, მამა... ჭალის ვენახის კაკლისა.
- მაგისი ხომ გუშინაც მოგიყევი, კაცო!
- კიდევ მომიყევი.
- კარგი. ეგ ჩვენი კაკალი სამასი წლის იქნება. გაზაფხულზე კოკრებს გამოიტანს, მერე ეს კოკრები ფოთლებად იქცევა. შემოდგომაზე კაკალს ფოთლები გაუყვითლდება. მერე დასცვივა...
- ციყვი?
- ჰო, კაკალს ერთ ტოტზე ფუღურო აქვს და იმ ფუღუროში ციყვი ცხოვრობს, პატარა, კუდაპრეხილი ციყვი. გამოვა ფუღუროდან, დასკუპდება უკანა ფეხებზე და – ფიტ! ფიტ! – უჯავრდება ჩიტებს.
- რათ უჯავრდება, მამა?
- ეს კაკლის ხე სულ ჩემია და თქვენ ნუ სხდებით ზედაო.
- მერე ჩიტები გაფრინდებიან ხოლმე?
- ჩიტბატონები გაფრინდებიან ხოლმე, მოლაღურები კი – არა...
- ის ციყვი ახლაც იქ არის, მამა?
- ჰო, ახლაც იქ იქნება, მაშ, აბა, სხვაგან სად უნდა წასულიყო! ახლა სულ ფუღუროში ზის და კაკლებს ახრამუნებს.
- არა სცივა, მამიკო?
- ეგ ხომ იცი. ფუღურო რბილი ბალახით აქვს სავსე, თან თვითონაც თბილი ქურქი აცვია...
- კაკალს?
- კაკალს რა?
- კაკალს არა სცივა?
- კაკალსაც სცივა, მაგრამ ითმენს.
- რატომ ითმენს, მამიკო, კაკალი?
- აბა, მეტი რა გზა აქვს, შვილო, ვის მიადგეს კარზე, გამათბეო. ერთი მაშინა თბება, რომ ბარდნის და ბარდნის...
- თოვლი მეც მიყვარს. როდის მოვა, მამიკო, თოვლი?
- მალე, შვილო, შეიძლება ამაღამაც მოვიდეს.
- დედა, მამიკო?
- დედა სულ მალე მოვა და კანფეტებსაც მოგიტანს.
- შოკოლადს?
- შოკოლადსაც მოგიტანს, მაშ! შეიძლება მოდის კიდეც. აბა, გავიხედო.
- მეც გამახედე, რა, გარეთ!
- არ შეიძლება, შვილო, შენ სიცხე გაქვს, დაიძინე, დედა მალე მოვა.

ბავშვს მშვიდად სძინავს და უთუოდ კუდაპრეხილ ციყვსა და ლამაზად მოფარფატე თოვლის ფანტელებს ხედავს.

ოთახში ნელ-ნელა შემოდის ზამთრისპირის ბინდი...

ღმერთო, ულხინე ყველა ბავშვს ქვეყანაზე!

პაწაწინა ყინულის ლოლუა
და მზის სხივი

ღამით თოვლის წვეთებისაგან ერთი პაწია ყინულის ლოლუა გაჩნდა. შეშინებული ბარტყივით მიეკრა დედა ლოლუას.
- სულ ასე გაუნძრევლად უნდა ვეკიდო? როდემდე? რატომ უნდა ვეკიდო ასე?... – კითხულობდა გაჩენისთანავე.
- გაჩუმდი! – უბრძანა დედა ლოლუამ, – მომეკარი, რომ ძირს არ ჩავარდე.
- რა არის მზე? – იკითხა ერთხელ პაწია ლოლუამ.
- სუ, სუ-უ! – უპასუხა მსუქანმა ყინულის ლოლუამ.
- როგორია? – არ ისვენებდა პაწია, – რატომ არასოდეს მინახავს?
- იმიტომ, რომ ახლა იშვიათად ანათებს, – უჩურჩულა დედა ლოლუამ.
- ანათებს? მთვარე და ვარსკვლავებიც ხომ ანათებს, მაშ მშვენიერი ყოფილა. მითხარი, მშვენიერია მზე?
- თავის დროზე ნახავ, იქნებ ხვალ, იქნებ ამ წუთსაც...
- აღარ გაჩუმდები? – გაბრაზდნენ ყინულის ლოლუები.
პაწაწინას ერთი სული ჰქონდა, რომ მზე ენახა და აი, ერთ დღესაც ნაცრისფერ ცაზე ოქროსფერი მზე გაჩნდა. პაწია ლოლუამ თვალი ვერ მოაცილა.
- ვაი, მზე! – ავიშვიშდნენ ლოლუები.
- ო! – აღტაცება აღმოხდა პაწაწინას.
ღრუბლებმა გაიღიმეს. ჰაერი ოქროსფერი გახდა.
მზემ ოქროსფრად გააფერადა საწვიმარზე ჩამოკიდებული ყინულის ლოლუები. – რა მშვენიერიაააა! – აღტაცება ვერ დამალა პაწია ლოლუამ.
- ჩუმად! - უჩურჩულა დედა ლოლუამ.
- ჩხ-ხ-ხ! ჩხ-ხ-ხ! – ძირს ცვიოდნენ მეზობელი ლოლუები.
- ვაი! ვიშვიშებდნენ ზემოთ დარჩენილები.
- მომეკარი, მაგრად მომეკარი, მზემ ძირს არ ჩაგაგდოს! – ეუბნებოდა დედა ლოლუა შვილს.
- ჰო, მაგრამ მზე ძალიან მშვენიერია. – გაოცება ვერ დამალა პაწაწინა ლოლუამ და მზეს შეხედა. ძალიან შეუყვარდა მზე. ყოველ დილით ელოდებოდა მზის გამოჩენას.
ერთხელაც, როცა მზემ ერთი კი არა, რამდენიმე სხივი ააციმციმა ერთბაშად, ლოლუები ატირდნენ.
პაწაწინა ლოლუამ მზის სხივს ჩუმად აკოცა. უცებ ძლიერი ტკივილი იგრძნო და თვალში ცრემლი ჩაუდგა. წუთით თავბრუ დაეხვა, წვეთებად წამოვიდა...
უცებ ქარმა შემოუბერა და წვეთებად ქცეული ლოლუა მაღლა აიტაცა.
- ვცოცხლობ! – აკისკისდა წვეთი და სულ მაღლა, მაღლა ცისარტყელას ფერებს შეერია.

გუგული ტოგონიძე

წვიმის წვეთები

გაზაფხულდა.
შხაპუნა წვიმა მოვიდა.
მზე პირს იბანსო, უხაროდათ მთებს.
მსხვილი წვეთები ტყაპატყუპით ცვიოდნენ მინდორში და ლამაზად ბრწყინავდნენ.
წვიმამ მალე გადაიღო. ნაწვიმარი მინდორი გაშრა...
მხოლოდ ერთ ბებერ, უშნო რცხილას შემორჩა თავის პატარა ფოთლებზე წვიმის წვეთები....
წვიმის წვეთებს მალე მობეზრდათ მის ფოთლებზე უსაქმოდ ჯდომა და...
ტყაპატყუპით ჩაცვივდნენ ძირს, დაგორდნენ ყვავილებით გადაჭრელებულ ფერდობზე და ხევში მოჩხრიალე ნაკადულს შეუერთდნენ.
მხოლოდ ერთი ზარმაცი და პრანჭია წვეთი არ განძრეულა ადგილიდან, მხოლოდ თვალი გააყოლა ნაკადულს.
წვეთს მალე მოსწყინდა, მთქნარება აუვარდა და ბოლოს ჩაეძინა კიდეც.
შუადღისას მზემ მაგრა დააცხუნა, მძინარე წვეთი აორთქლდა და... უკვალოდ გაქრა.
ახლა მან ისევ წვიმას უნდა უცადოს, რომ მის ახალ წვეთად იქცეს და ცხოვრება თავიდან დაიწყოს, მაგრამ ვინ იცის, გაწვიმდება კიდევ?! და თუ გაწვიმდება, როდის?!
ნაკადული კი ამასობაში მხიარულად მოჩხრიალებს თვალწარმტაც ხევში, მალე სხვა, ასეთივე ლამაზ ნაკადულებს შეუერთდება, იქცევა ღელედ... მერე ღელე ღელეს შეუერთდება და იქცევა მდინარედ... მერე ისევ განაგრძობს დინებას, თანდათან უფრო და უფრო გადიდდება და ბოლოს ლურჯ, თვალუწვდენელ, საოცნებო ზღვას შეერევა...

დავით ჯავახიშვილი

სახელმძღვანელოში გამოყენებულია სტივ ვილსონის, რუთ ჰალამის, არნო დე გრეივის, ჰეიდი ზეხის, გერდა ზანდერ-კაისერის, ჯეიკობ ფორსელის ფოტოები.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE | G-PRIED Georgia Primary Education Project
საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი